გაზეთი გამოდის 1999 წლიდან
ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru

№420 (479) 19 დეკემბერი 2017-2 იანვარი 2018 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

# სახალხო მოძრაობა “სამეგრელო” და გაზეთი “ილორი” გილოცავთ 2018 წელს!



## დავით ქობალია:

„ანაკლიის პორტი ვერ გვიშველის და არც აშენდება იმიტომ, რომ ამ საქმის სათავეში თაღლითები დგანან!“

გვ.2



## ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

გვ.3



## ნოკო ხურცია — მეგრული ფოლკლორის თვალსაჩინო წარმომადგენელი

გვ.8

## ჰამლეტ ქიპაშვილი: ტყუილი დაპირებები და გაუარესებული ყოფა

გვ.5

## ქ. ჰამლეტიძე: სააკაშვილი — როგორც ასეთი...

გვ.6



## ეკოლოგია: 5 000 მეცნიერის გაფრთხილება კაცობრიობას

გვ.7



## სრულიად საქართველოს ვულოცავთ ბარბარობის ბრწყინვალე დღესასწაულს!

სურათზე გამოსახულია გახარიების მფარველი წმინდა ბარბარეს საგვარეულო ხატი.
დიდება მის სახელს!
ამინ!

წერილი წმინდა ბარბარეს ცხოვრებისა და მოწამეობრივი აღსასრულის თაობაზე იხილეთ ჩვენი გაზეთის მე-10 გვერდზე



გვ.4

## ლავრენტი ბერია — საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი



## მურმან ხუბულავა: ჩვენ, ჩვენი უვიცობით ვქმნით ცოდვებს!

გვ.7

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ანაკლიის პორტი ვერ გვიშველის და არც აშენდება იმიტომ, რომ ამ საქმის სათავეში თაღლითები დგანან!“

საინტერესო და ამასთან ერთად გულმოსაკლავი სტატია დაიბეჭდა **„ასავალ-დასავალში“ (N 47, 2017 წ.) „ანაკლია პორტის“** მშენებლობაზე ამ სათაურით.

ის, რომ, წელიწადნახევრის წინ დასაწყები პორტის მშენებლობა სალაყბო თემად იქცა, მხოლოდ ადგილობრივ სამთავრობო ჩინოვნიკებს არ სჯერათ, რადგან ვალდებული არიან – **მხარი დაუჭირონ „ზემოდან მოსულ დირექტივებს“, თუნდაც ისინი ქვეყნისა და მისი მოსახლეობის საზიანო იყოს.**

ბატონი დიტო ჩუბინიძე, მისთვის ჩვეული პირდაპირობით ამხელს **„ანაკლია პორტის“** მშენებლობასთან დაკავშირებულ სამთავრობო და საბანკო ბლეფს, რომელშიც ქვეყნის პირველი პირები – **პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი, ფინანსთა მინისტრი ქუმსიშვილი და უამრავ სკანდალურ მაქინაციებში მხილებული ბანკირი მამუკა ხაზარაძე მონაწილეობენ.**

რამდენიმე ამონარიდს შემოგთავაზებთ ამ სტატიიდან: „ყველაზე მთავარი უბედურება, რომელიც ტენდერში გამარჯვებულ მამუკა ხაზარაძეს და „კონტი ჯგუფს“ სჭირთ, ის არის, რომ – **ანაკლიის პორტის ასაშენებლად არც ერთს და არც მეორეს საჭირო მილიონები და მილიარდები არა აქვთ!**

რაკი უფულონი არიან, იმისათვის, რომ სიტუაციიდან გამოძვრნენ და ხალხისა და ხელისუფლების რისხვა აიცილონ, ხაზარაძემ და მისმა ხილულ-უხილავმა მოკავშირეებმა ხალხის მოღორება და დაბოლება დაიწყეს.

...ახლა ვითარება ასე გამოიყურება – **მამუკა ხაზარაძე და მისი ამფსონები სოლომონ მორბელაძესავით საშოვარზე არიან გასულები და ყველაფერზე მოაწერენ ხელს, ოღონდაც ან ბიუჯეტი ჩამოწველონ, ანდა რომელიმე უცხოელი დააბოლონ და ანაკლიის ღრმაწყლოვან აკვატორიაში შეიტყუონ.**

...იმის გამო, რომ მამუკა ხაზარაძის მიერ დაანონსებული **2017 წლის 20 დეკემბერი** კარზეა მომდგარი და **„თიბისი ბანკის“** უსტაბაშს სულ მცირე 400 მილიონი დოლარი მაინც სჭირდება ანაკლიის პორტის მშენებლობის დასაწყებად, ცოტა ხნის წინათ საქართველოს **მთავრობის მონასტერიც** აირია!

კერძოდ, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მამუკა ხაზარაძე ეკონომიკის მაშინდელ მინისტრთან გიორგი გახარიასთან მივიდა და უთხრა: – **პორტის მშენებლობის საინვესტიციო ვალდებულებები გადამივადე და ბიუჯეტიდან თანხაც გადმომირცხეო!**

კონფინდენციალური წყაროს ცნობით, რომლის სანდოობაც ეჭვს არ იწვევს, ხაზარაძეს გახარიასთვის ბიუჯეტიდან დაახლოებით 100 მილიონი დოლარის ინვესტიცია მოუთხოვია, რაზედაც მინისტრისგან კატეგორიული უარი მიუღია... ამის გამო ხაზარაძესა და გახარიას შორის შელაპარაკება მომხდარა და საქმე კინაღამ გინებამდე მისულა. ხაზარაძე ეკონომიკის მინისტრის კაბინეტიდან გაცოფებული გამოვარდნილა და გახარიას დამუქრებია **– ყველაფერს კვირიკაშვილს მოვახსენებო!**

ხაზარაძე-გახარიას ომი კვირიკაშვილის კაბინეტში გაგრძელებულა... პრემიერს გახარიასთვის უთქვამს: – **გიორგი, მამუკა რასაც ამბობს, გაუკეთეო!** საქართველოს ეკონომიკის ყოფილ მინისტრს თვით პრემიერ-მინისტრისთვისაც კი უარი შეუბედავს და კვირიკაშვილი გაუწბილებია – **ხაზარაძეს არც ბიუჯეტის ფულს მივცემ და არც საინვესტიციო ვალდებულებას გადავუვადებო!“**

მოკლედ – **სწორედ ამის შემდეგ მოხდა მინისტრების გადანაცვლება და პრემიერის „ურჩი“ მინისტრი, ბატონი გახარია, ქვეყნის საფინანსო სადავეებს ჩამოაშორეს.**

შეიძლება ვინმეს გადამეტებულად მოეჩვენოს ჩემეული ეს შეფასება, მათ ვურჩევ – ნუ იჩქარებთ, დაველოდოთ, უკვე 19 დეკემბერია. ხაზარაძემ და **„კონტი ჯგუფმა“** დათქმულ დროს თუ პორტის მშენებლობა დაიწყეს, – **ეს იქნება იმის დასტური, რომ მინისტრთა გადაადგილებებს „შედეგი“ მოჰყვა და ქვეყნის ბიუჯეტი 100 მილიონი დოლარით გაიძარცვა!**

დიტო ჩუბინიძის სტატიამ შემახსენა, წელიწადნახევრის წინ, საინფორმაციო ანალიტიკურ სააგენტო **„ივერიონში“ (04-05-2016)** გამოქვეყნებული ჩემი სტატია: – **„დოუძახი სპონსორეფს არამი დო შარიქას...“ ანუ როდის დასრულდება ფულის სამათხოვროდ ძუნძული!“** სამწუხაროდ, ყველა ჩემი ვარაუდი აცხადდა!

ამ შესავალს ბატონი დიტოს სიტყვებით დავამთავრებ:

–„...**თუ ტენდერს სამართლიანად ჩაატარებდნენ და გაიმარჯვებდა ერთ-ერთი პრეტენდენტი თემურ ქარჩავა, რომლის უკანაც უდიდესი ჩინური სახელმწიფო კომპანია POWER CHINA დგას, ჩინელები თავის თავზე იღებდნენ როგორც პორტის მშენებლობის ხარჯებს, ისე ტვირთების მოზიდვას, გადაზიდვასა და რეალიზაციას, რაც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისა და აქედან გამომდინარე, მთელი საქართველოს აყვავების გარანტი იქნებოდა, მაგრამ ეკონომიკის მაშინდელმა მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საქმე ისე მოაკვარახჭინა, რომ ტენდერში არა ქარჩავას პროექტს, არამედ მამუკა ხაზარაძესა და „კონტი ჯგუფს“ გაამარჯვებინა...**

**...ანაკლიის პორტი ვერ გვიშველის და არც აშენდება იმიტომ, რომ ამ საქმის სათავეში თაღლითები დგანან!“**

დანარჩენი ქვემოთ წაიკითხეთ:

## „დოუძახი სპონსორეფს არამი დო შარიქას...“ ანუ – როდის დასრულდება ფულის სამათხოვროდ ძუნძული!?

ეს სტატია გასულ კვირას უნდა გამომექვეყნებინა, მაგრამ ვნების კვირას თავი ავარიდე ისედაც გულდამძიმებული მკითხველის გაღიზიანებას. ამასობაში კი დადგა ჟამი, როცა – **„თქმა სჯობს არა თქმასა!...“**

**„ანაკლია პორტის“** ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებული **„ხაზარაძე და კონტი ჯგუფის“** და მისი გამომცხადებელი პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის, ფულის სამათხოვროდ ძუნძულმა მეგრული ფოლკლორის სახალისო ნიმუში გამახსენა, რომლის პერიფრაზსაც სათაურად ვურთავ ამ სტატიას.

მესამე თვე იწურება, რაც **„ანაკლია პორტის“** მშენებლობის ტენდერში გამარჯვებული გამოცხადდა. სამწუხაროდ, ამ ისტორიულ შემთხვევას ჯეროვანი რეაქცია არ მოჰყოლია, როგორც მთავრობის, ასევე მოსახლეობის მხრიდან, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს, რომ – **ათასწლეულის პროექტის „ანაკლია პორტის“ მნიშვნელობა ან არ ესმით ტენდერის გამომცხადებლებს, ან ტენდერში გამარჯვებულის მზადყოფნაში არ არიან დარწმუნებული და საერთო სახალხო აღშფოთებას ერიდებიან!**

არადა – **მოქმედი ხელისუფლებისთვის, სამომავლო არჩევნების წინ უკეთეს ე.წ. „საპიარო“ ანუ, თავმოსაწონ შემთხვევას ადამიანი ვერც კი ინატრებს.**

მოკლედ რომ ვთქვათ, ნათლად ჩანს, რომ ვერ არის კარგად საქმე, რის გამოც მხოლოდ რამდენიმე მოკლე ინფორმაციამ გაიჟღერა ამ სამი თვის მანძილზე, **ზაფხულზე დასაწყები პორტის მშენებლობის შესახებ**, რომ, ჯერ ევროპაში, ხოლო შემდეგ აშშ-ში – **„ანაკლია პორტის პროექტი, წლის საუკეთესო პროექტად აღიარეს!“**

პირდაპირ უნდა განვაცხადო – **ეს გახლავთ მორიგი ბლეფი „ანაკლია პორტთან“ დაკავშირებით და სხვა არაფერი, რადგან, თუ „პროექტზეა“ საუბარი, მაშინ „ხაზარაძე და კონტი ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი „პროექტი“ ამ შეფასებას არ იმსახურებს და იგი ანტისახელმწიფოებრივი და ანტისახალხოა რამდენიმე მიზეზის გამო, რომელსაც მოგვიანებით მივუბრუნდები.**

რაც შეეხება, ევროპელთა და ამერიკელთა **„აღფრთოვანებას“** – იგი მხოლოდ **„ახალი აბრეშუმის გზის ფარგლებში ანაკლიაში პორტის მშენებლობის იდეას“** შეიძლება გამოეწვია, რომელიც **„ხარაზარაძე და კონტი ჯგუფს“** ნამდვილად არ ეკუთვნის!

ევროპასა და ამერიკაში სამთავრობო დონის ბიზნესწრეებში **ხაზარაძე-კვირიკაშვილ-ქუმსიშვილისგან, რომ გაიგეს ამ იდეის არსებობის შესახებ**, ეს უფრო მძიმე შემთხვევაა, ვიდრე, უფულო კონსორციუმის ტენდერში გამარჯვება, რადგან, 2013 წლიდან (თავი დავანებოთ წინა წლებს), იმდენი ითქვა და დაიწერა **„ახალი აბრეშუმის გზაზე და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის ანაკლია პორტის მშენებლობაზე“** ჩვენი ქვეყნის უპირველეს და კეთილმოსურნე პარტნიორებს ცოტა ადრე და მეტი უნდა სცოდნოდათ ამის შესახებ!

აქ ცოტა ხნით შევჩერდეთ და მოკლე განმარტება შევთავაზოთ დაინტერესებულ მკითხველს, თუ რატომ არის საინტერესო და აღფრთოვანების მომგვრელი ანაკლიაში მეგაპორტის მშენებლობის იდეა. თუმცა, იმავე დაინტერესებულ მკითხველს შეიძლება ის უფრო გაუკვირდეს, თუ რამ აღაფრთოვანა ევრო-ამერიკელები, როცა **– ახალი აბრეშუმის გზის შემადგენელი „ანაკლია პორტის“ დაფინანსების, მშენებლობის, მისი წარმატებული ფუნქციონირების გარანტი ჩინეთის სახელმწიფო იგნორირებულ იქნა და არ მონაწილეობს საუკუნის, შესაძლოა ათასწლეულის პროექტში!**

უსიტყვოდ ვეთანხმები ასე მოფიქრალ მკითხველს, როცა წარმოვიდგენ – **დაშლის პირას მყოფი ევროგაერთიანების და აშშ-ის (რომელსაც ორი ჩემოდანი ტვირთი არ ექნება დღეში ამ გზაზე გასატარებელი), ტაში და ქების სიგელი არაფრის მომტანია ანაკლია პორტის ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებული „ხაზარაძე და კონტი ჯგუფისთვის“!**

ტაში და ქების სიგელები წარსულს ჩაბარდა, – **საქმისთვის ფულია საჭირო, რასაც ისე ადვილად, როგორც ქართველ სახელმწიფო ჩინოვნიკებს და მათ მიერ ტენდერში „ნაჯიკებ ფავორიტს“ ეგონათ, თურმე არ იძლევიან!**

რაც შეეხება ანაკლია პორტის პროექტს, მხოლოდ რამდენიმე კითხვას დავსვამ:

1. რა მიზანს ემსახურება სახელმწიფო, რომელმაც ტენდერში გამარჯვებულისთვის პორტის ასაშენებელი ტერიტორიის უზრუნველყოფა და მომზადება იკისრა, ანაკლიის აბორიგენ მოსახლეობას მიადგა და პორტის მშენებლობას მათი გასახლებით იწყებს?

2. რატომ მიანიჭა სახელმწიფომ და მოწვეულმა, საკმაოდ ძვირადღირებულმა უცხოურმა სატენდერო კომისიამ უპირატესობა პროექტს, – **რომელსაც სამჯერ მეტი, ზღვის ნაპირის საუკეთესო ნაწილი მიაქვს (ვიდრე ტენდერის ფინიშზე წარმოდგენილ ალტერნატიულ პროექტს) და მისი წარმადობა საეჭვოა ტენდერში გამოცხადებული წლიური 100 მილიონი ტონა ტვირთბრუნვის მესამედს გასწვდეს?**

3. რაც ყველაზე მთავარია, – **სად არის ფინანსური გარანტიები, რომელიც ტენდერში მონაწილეთა ერთ-ერთ უპირველეს შესასრულებელ პირობას წარმოადგენდა?!**

4. თუ ყველაფერი მზად ჰქონდა ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ ე.წ. **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმს, იგივე ხაზარაძე და კონტი ჯგუფს“ – რატომ დაეძებენ ფულს და ე.წ. „სპონსორებს“ ტენდერში გამარჯვების შემდეგ?**

...ამას წინათ, **„ევრობანკის“** საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის გამოსვლამ **„ბიზნესკონტაქტში“** საბოლოოდ ცივი წყალი გადაასხა ანაკლია პორტის მშენებლობის დაწყებას ამ ზაფხულს!

მოკლედ, საითაც კი არ მიასკდნენ **ხაზარაძე-კვირიკაშვილ-ქუმსიშვილი** ფულის სამათხოვროდ, ყველა მხრიდან გაწბილებული დაბრუნდნენ. სამაგიეროდ, სამეგრელოს რეგიონის ხელისუფლები სტუდენტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას ჯიუტად არწმუნებენ, რომ – **ხაზარაძე ამ ზაფხულს პორტის მშენებლობას დაიწყებს და უმუშევარი არავინ დარჩება. მათი აზრით, ამჟამად მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს და არა, ფულის სამათხოვროდ ძუნძული!**

რომ იტყვიან – **ნეტარ არიან მორწმუნენი!**

– კაცმა რომ თქვას, მე რატომ უნდა ვიდარდო საქართველოს მთავრობის და მისი რჩეული კომპანიის უფულობა, მაგრამ, რომ წარმოვიდგენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჯოჯოხეთში ჩავარდნილი ჩემი სამშობლოს მდგომარეობას და იმედის ნაპერწკლად გაჩენილი ანაკლია პორტის მშენებლობის იმედგაცრუებას, ნათლად ვხედავ – **მწარე განკითხვის დღე დადგება, ღმერთმანი!**

– ევროპა-ამერიკაში ფულის სამათხოვროდ გავარდნილ კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძეს მწარედ შეახსენებენ, რომ – **ფული, სპონსორი და ქვეყნის სასარგებლო პროექტი ტენდერში გამარჯვებამდე უნდა ჰქონოდათ!**

– ვიღაცას, ევროპიდან მოწვეული, რამდენიმე მილიონ ევროდ ღირებული ტენდერის ექსპერტებიც გაახსენდება – **„ღირსეული კანდიდატის“ შერჩევაში „ოფლი ღვარეს“ და მილიონები რომ ჩაიჯიბეს!**

თუმცა, ცნობილია, რომ ქართველი ხალხი უთავბოლოდ მიმტევებელია... ალბათ ამისი იმედი აქვთ სამთავრობო ვადამილევად ხელისუფალთ და ბოლოდროინდელი **„ყველა ხელისუფლების ქისად“** წოდებულ ხაზარაძეს!

– ფაქტიც სახეზეა, კვირიკაშვილ-ქუმსიშვილ-ხაზარაძეს ანაკლიაში ლექსი გამოუთქვეს, რომელიც ზუსტად ასახავს მათ ქმედებას:

**„დოუძახი სპონსორეფს – არამი დო შარიქას,**

**უსაქმურო ყუდეს რინა ფარას დღასი ვამიღანს...“**

(დაუძახე სპონსორებს – არამი და შარიქას, უსაქმურად სახლში ყოფნა ფულს არასდროს მოიტანს...)

...და ესენიც, ლამის ხუთივე კონტინენტის ღობე-ყორეს მოედნენ!

– **ღმერთმა არ ქნას, ნაალდგომევსაც მხოლოდ ქების სიგელებით დაგვიბრუნდეს ხსენებული „სამი მუშკეტერი“!**

თუ ეს ასე მოხდა – **მათი სიმღერა დასრულდება, სასიმღერო კუპლეტები უთუოდ გაიზრდება სათანადო განაჩენთან ერთად, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ იქნება გამოსავალი, ვერანაირი განაჩენი ამ საქმეს ვერ უშველის, რადგან ქვეყნის ეკონომიკური გადარჩენის და „ანაკლია პორტის“ იდეის დაღუპვა მოჰყვება მას, რაც არასოდეს დაგვიბრუნდება!**

დავით ქობალია

**P.S.** **„ანაკლია პორტის“** თემასთან დაკავშირებით იხილეთ საინტერესო ლინკი, რომელსაც, როგორც ჩანს, დაინტერესებული პირები საგულდაგულოდ უმალავენ მკითხველს: https://teimurazkarchava .wordpress.com/about/

ამ ლინკის ნახვის შემდეგ მკითხველი თვითონვე დარწმუნდება, რომ ის, რასაც სამი თვეა გამწარებული დაეძებს ზემოთხსენებული **„სამი მუშკეტერი“**, დიდი ხნის წინ იყო მოგვარებული.

თუ რატომ იქნა იგნორირებული ანაკლია პორტის ტენდერის ფინიშზე კონსორციუმ **„ანაკლია პორტი და ეკო პარკის“** და მათი მთავარი პარტნიორის **„ფაუერ-ჩაინას“**კონსტრუქციული შემოთავაზება, ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებს სცილდება. თუმცა, ამ საკითხით შესაბამისი უწყების დაინტერესების შემთხვევაში მზად ვართ საინტერესო და მდიდარი მასალები გადავცეთ მათ.

**P.S.**-ის **P.S.** ტენდერის გამარჯვებულად გამოცხადებიდან, წელიწადნახევრის მანძილზე, უშედეგო ფულისმაძიებლები, – **ხაზარაძე და „კონტი ჯგუფი“**, როგორც ჩემმა ავსტრიელმა მეგობრებმა მაცნობეს, ბატონი თეიმურაზ ქარჩავას კონსორციუმის წევრებს მიადგნენ – **ჩვენ სამთავრობო მხარდაჭერა გაგვაჩნია, მოდით და ჩვენთან ითანამშრომლეთო!**

მკითხველს უნდა შევახსენო – **ეს ის მთავრობაა, რომ იტყვიან, საათივით აწყობილი საქმე რომ ჩაუშალა ბ-ნ თეიმურაზ ქარჩავას (იხ. „ასავალ-დასავალი“ 44, გვ. 22) მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს გადამზიდავ კომპანია MSc-სთან, რომელიც მზად იყო ანაკლია პორტის კონტეინერების ტერმინალი დაეფინანსებინა (1. 200 000 000 აშშ-ს დოლარით), აეშენებინა და თვითონვე ემართა, რაც მეგაპორტის ამ ნაწილის სრული წარმატების გარანტია იქნებოდა!**

საინტერესოა, რას იტყვის მკითხველი: **– ასეთ მთავრობასთან და მის „რჩეულთან“ დაიჭერს ვინმე საქმეს?**

# ზურაბ კვარაცხელიას ბლოგი

## რეპლიკა
## დეზინფორმაციის გამო

არ შემიძლია ჩელიაბინსკში რადიაციის გამოსხივების შესახებ ამ ბოლო დროს გავრცელებულ ერთ ინფორმაციაზე თუ დეზინფორმაციაზე არ გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება... გარკვეულია, რომ ჩელიაბინსკში მართლაც არის რადიაციის მნიშვნელოვნად მომატებული ფონი, რაც თვისთავად არის უაღრესად ცუდი ფაქტი და დიდი საფრთხეც, მაგრამ არანაირი **"ჩერნობილი"** იქ საბედნიეროდ არ არის!.. გარკვეულია ისიც, თუ საიდან მოდის ეს სიცრუე! ცხადია გარკვეულია ისიც, რომ ამ თემაზე სპეკულაციებით პროცესების ესკალაციას ცდილობენ რუსეთელი ე. წ. ლიბერტარიანელები! ისიც გარკვეულია, რომ ეს არის ჩვეულებრივი ფეიკი და ის ტირაჟირებულია უკრაინული სოცქსელების მეშვეობითაც!.. ცხადია ისიც, რომ ყოველივე ეს ინსპირირებულია დასავლური სპეცსამსახურების მიერ!.. მაგრამ, კიდევ რა მინდა ვთქვა: თუნდაც სიმართლეს შეესაბამებოდეს ყველაფერი – გაუგებარია რატომ უხარია ეს ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს?! როგორ შეიძლება ადამიანს, თუ ის მართლაც ადამიანია და თანაც ქრისტიანი – ასეთი ტრაგედია უხაროდეს?! ეს უკვე ნამდვილად არის სავალალოც და დამაფიქრებლიც! ეს უკვე მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი ხალხის მნიშვნელოვან ნაწილში თანდათანობით ჰქრება კაცთმოყვარეობის იმპულსები!..

კოლხ-იბერნო! კატასტროფაა ეს ჩვენთვის! მენტალური კატასტროფა!..

## აუცილებელი რეპლიკა...

მსურს გავაკეთო მცირე, მაგრამ აუცილებელი რეპლიკა უმნიშვნელოვანეს საკითხზე:

არსებული ხელისუფლების მიმართ ანტაგონისტური დამოკიდებულება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს მიზეზი იმისა, რომ მისი ნებისმიერი ძალისხმევის მართებულობა ეჭვქვეშ იქნას დაყენებული! ვამჩნევ ზოგიერთი შეგნებულად თუ შეუგნებლად იზიარებს და ტირაჟირებას უკეთებს ვინმე იდიგოვის ნაბჟუტურევს იმის თაობაზე, რომ ცხონებული ვანო გოლოშვილის მკვლელები ე. წ. **"ისლამური სახელმწიფოს"** ტერორისტ-ჯიჰადისტები კი არა – თითქოს თბილისში სამკურნალოდ ჩამოსული სნეულები ყოფილიყვნენ! ჰმ, წარმოგიდგენიათ თბილისში სამკურნალოდ ჩამოსული და ორთაჭალაში დაბანაკებული კბილებამდე შეიარაღებული ადამიანები??? მართლაც გასაოცარია ზოგიერთთა აზროვნების არაადექვატურობა! აშკარაა, რომ ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ნებსით თუ უნებლიედ საერთაშორისო ტერორიზმის წისქვილზე ასხამს წყალს! ვინაიდან, ეს უსერიოზულესი და უმნიშვნელოვანესი საკითხია – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მესვეურებს კიდევ ერთხელ ღიად მოვუწოდებ, რომ ტერორიზმის პრევენციისათვის არ დაიშუროს შესაბამისი და აუცილებელი ძალისხმევა! ამავე დროს უაღრესად საჭიროდ მიმაჩნია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, თუ რის აგიტაცია-პროპაგანდას ეწევიან ზოგიერთები სოციალური ქსელების მეშვეობით!..

როგორც ჩანს, სიკეთესა და ბოროტებას შორის შერკინება უკანასკნელ სტადიაშია შესული! ასე რომ, შეგვეწიოს უფალი მამულის გადასარჩენად ჩვენს გულწრფელ ზრახვებში და ძალისხმევაში!..

## პოეტს, ლექსიკოგრაფს და საზოგადო მოღვაწე ალიო ქობალიას ამა წლის 25 დეკემბერს 90 წელი შეუსრულდებოდა...

ალიო ქობალია (1927-2006 წ. წ.) დაიბადა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხუში, ლექობალეს უბანში.

დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1952-1992 წ.წ. ცხოვრობდა და მუშაობდა აფხაზეთში, ოჩამჩირის რაიონული გაზეთის რედაქციაში. არის ავტორი სოხუმში გამოცემული პოეტური კრებულებისა **"თეთრი ბილიკი"**, **"ნისლი ჭალაში"**, **"ველის ყვავილი"**, **"წყნარი თოვლი"**, **"ნაღვლიანი დღე"**, **"შენი სახელი"**, **"ცისფერი კვამლი"** და სხვ.

2010 წელს გამმცემლობა **"არტანუჯმა"** გამოსცა ალიო ქობალიას **"მეგრული ლექსიკონი"**, რომელშიც შესულია 97 ათასი ლექსიკური ერთეული და სიტყვა – სტატია (ეს არის შემოკლებული ვერსია ლექსიკონისა, რომლის შევსებას იგი სხვა თავისივე ლექსიკონებიდან გეგმავდა).

ნაშრომი ძირითადად ეფუძნება აფხაზეთში (შუასოფელსა და სამურზაყანოში) და სამეგრელოში (ოდიშსა და ლაკადაში) მოძიებულ საველე მასალებს, აგრეთვე მეგრულ ფოლკლორსა და ეთნოგრაფიულ მასალებში დაფიქსირებულ, ენათმეცნიერთა მიერ დამოწმებულ და გაანალიზებულ კოლხიზმებს, ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებს. მასში ცალკე ერთეულებად, სიტყვა-სტატიების სახითაა შეტანილი მეგრული ლექსიკისათვის დამახასიათებელი იდიომები და და სხვა ორ და მეტ სიტყვიანი მყარი გამოთქმებიც, იმ მთხრობელთაგან გაწეული და ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი ცნებები, რომელთა ნაწილი ნაწილი აქამდე არ დაფიქსირებულა, რაც ზრდის მის მნიშვნელობას ქართველური ენებისა და საქართველოს ეთნოგრაფიის შესწავლით დაინტერესებული მკითხველისათვის.

მას დარჩა გამოუქვეყნებელი ეთნოგრაფიული ნაშრომები, ისტორიოგრაფიული, მითოლოგიური, კოსმოგონიური ძიებანი, ტოპონიმური, ონომასტიკური, ეტიმოლოგიური, ფრაზეოლოგიური ლექსიკონები, მეგრული და ქართული ლექსები და პოემები, პროზაული ნაწარმოებები.

ალიო ქობალია გარდაიცვალა 2006 აპრილს, ზუგდიდში, სადაც ცხოვრობდა 1993 წლიდან, აფხაზეთიდან დევნილობის შემდეგ. დაკრძალულია მანცხვარკარის სასაფლაოზე.

## მცირე, მაგრამ აუცილებელი რეპლიკა!

აქვე მსურს გავაკეთო სულ მცირე რეპლიკა სულკურთხეული ალიო ქობალიას მეგრულ ლექსებში გამოყენებული სიტყვების ვითომდაც არქაულობის თუ გაუგებრობის თაობაზე... მაქვს მოლოდინი, რომ ამ რეპლიკას გამოეხმაურებიან ჩემზე ბევრად უფრო კომპეტენტური და უმდიდრესი, უმშვენიერესი, მაგრამ გაქრობის ზღვარზე მყოფი მეგრული ენის ზედმიწევნით კარგად მცოდნე ადამიანები. მადლობა ღმერთს, რომ ასეთი ადამიანები ჯერ კიდევ მოიძებნებიან ჩვენს სამშობლოში, უფრო მეტიც, ასეთი ადამიანები ამ ჩემს ფბ-სამეგობროშიც კი არიან და მე მათ ვთხოვ დააფიქსირონ თავიანთი პოზიციაც...

ვფიქრობ, რომ ის ადამიანები, რომლებიც დიდი ლექსიკოგრაფის და ჩემი ღრმა რწმენით ასევე დიდი პოეტის, ალიო ქობალიას მიერ მეგრულ ენაზე შექმნილი მაღალმხატვრული ნაწარმოებების ლექსიკის არქაულობაზე და გაუგებრობაზე მიუთითებენ, რბილად რომ ვთქვა – ცდებიან! მოდით და პირდაპირ ვაღიაროთ: ჩვენს მიერ მეგრული ენის საყველპურო ცოდნამ ნამდვილად არ უნდა მოგვცეს სითამამე იმისა, რომ რახან მეგრული ენა კარგად არ ვიცით, რახან ესა თუ ის მეგრული სიტყვა აქამდე არ გვსმენია, ავდგეთ და ის უაპელაციოდ არქაულად გამოვაცხადოთ! არა, ჩემო ძვირფასებო! აქ ჩვენ ცოტა ფრთხილად და ფხიზლადაც უნდა ვიყოთ! ნუ დავასხამთ წყალს მარგალოფობების წისქვილზე! ჩვენი უცოდინრობით თუ ბედოვლათობით ვინძლო ჩვენ თვითონვე არ ვუბიძგოთ **"ნანაში ნინას"** საბოლოოდ გაქრობისაკენ! ასე რომ, კარგად უნდა დავიმახსოვროთ სულყველამ: რაც ჩვენ სრულიად უსაფუძვლოდ არქაული და აქედან გამომდინარე დღევანდელობისათვის მიუღებელი მეგრული სიტყვა გვგონია, სწორედ ისაა ნამდვილი მეგრული! ხოლო, ის რაც ნამდვილ და თანამედროვე მეგრულად მიგვაჩნია, სამწუხაროდ სხვა არაფერია თუ არა ჩიქორთული მეგრული!..

აი, სულ ესაა ჯერჯერობით, რისი აქ დაფიქსირებაც ჩავთვალე საჭიროდ...

**ვადინაფედას მარგალური ნინა!**
**ირიათონი ქოცოფედას ნანაში ნინა!**

## წალენჯიხელი ენათმეცნიერის მტკიცებით, გრაკლიანის ძეგლზე წარწერა მეგრულად იშიფრება

წალენჯიხელი ენათმეცნიერი ირწმუნება, რომ წარწერა გრაკლიანის არქეოლოგიურ ძეგლზე, რომელიც შიდა ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ იგოეთის და სამთავისის ტერიტორიაზე, მდინარე ლეხურას მარჯვენა ნაპირთან ახლოს, გორაზე მდებარეობს, მეგრულ ენაზე იშიფრება. კუკური ფიფიას მტკიცებით, ის ამ აზრამდე ინტერნეტში მოპოვებული ფოტომასალის გაცნობის შემდეგ, აგვისტოს თვეში, სულ რაღაც ოც წუთში მივიდა. ამბობს, რომ მართალია წარწერა დეფორმირებულია, მაგრამ არც იმდენად, მისი ამოკითხვა გასჭირვებოდა. **„ქიანა მიცორც"** – ენათმეცნიერი ირწმუნება, რომ ძეგლზე სწორედ ამ შინაარსის წარწერაა დატანილი.

საკუთარი დაკვირვების და მიგნებების შესახებ ის ზუგდიდის სამხატვრო გალერეაში შეკრებილ დაინტერესებულ მოქალაქეებს ესაუბრა. კუკური ფიფიას თქმით, მაშინვე მიხვდა, რომ საქმე ლიგატურასთან ჰქონდა, რაც ნიშნავს შემდეგს: **"ერთი ასო-ნიშნის გრაფიკული ელემენტი გამოყენებულია მეორის სასარგებლოდ და პირიქით. აქ პირველი და მეოთხე გრაფიკული გამოსახულებები ორ-ორ ასო-ნიშანს შეიცავს. მესამე გრაფიკული გამოსახულება კი სამ ასო-ნიშანს"**, – უთხრა მან **"ლაივპრესს"**.

ენათმეცნიერის მტკიცებით, ეს აღმოჩენა მთლიანად ცვლის საქართველოს ისტორიას. მათ შორის ისეთ მოცემულობებს, რომლის თანახმადაც, ასომთავრულია პირველი ანბანური დამწერლობა, რომლის განვითარების შედეგადაც ჯერ ნუსხური, მერე კი მხედრული ჩამოყალიბდა.

**"თავდაყირა დგება ეს ყველაფერი. მართლდება რასაც ამბობდა ივანე ჯავახიშვილი და ნიკო მარი. ნიკო მარის თქმით, მხედრული დამოუკიდებელი დამწერლობაა, რომელსაც ფესვები ღრმა წარსულში აქვს. ჯავახიშვილი კი ამბობდა, შეიძლება გაირკვეს, რომ ქრისტეს წინანდელი სამწერლობო ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდა, არამედ მეგრულ-ლაზურს, ან სვანურს"**.

კუკური ფიფიას თქმით, საკუთარი აღმოჩენის შესახებ ენათმეცნიერების ინსტიტუტსაც აცნობა, სადაც არავინ შედავებია, თუმცა აღიარებას ნაკლებად ელის. სურვილი არ აქვთ, რომ ეს ასე იყოსო – გვითხრა. ერთ რამეში დარწმუნებულია, თუ ქართველ ხალხს სწორ ისტორიას არ მიაწვდიან, ქვეყანას მომავალი ვერ ექნება.

ენათმეცნიერისვე მტკიცებით, სწორედ მეგრული იყო ის ენა, რომელზეც ადგილობრივები საუბრობდნენ, და ზოგადადაც, მეგრულია საწყისი ყველა სხვა ენისთვის, რადგან მისი საშუალებით ამ ენებზე სიტყვების დაშიფრვაცაა შესაძლებელი.

**"ყველაფერი, რაზეც ბატონი კუკური საუბრობს, ჩემთვის ძალიან დამაჯერებელია. მინდა, რომ ეს აღიაროს აკადემიურმა საზოგადოებამ. ჩემთვის ეს არის სენსაცია, რომ გრაკლიანის წარწერა, რომელიც ვერავინ გაშიფრა, გამოდის, რომ უკვე გაშიფრულია და გაშიფრულია ჩემს მშობლიურ მეგრულ ენაზე. ამაზე უკეთესი და სასიხარულო რა უნდა იყოს"**, – განვაცხადე მე ღონისძიებაზე.

თავის მხრივ, შეხვედრის მონაწილეებმა მოუწოდეს კუკური ფიფიას, საკუთარი აღმოჩენა აკადემიურ წრეებში განიხილოს და მას სამეცნიერო დონეზე შეფასება მიეცეს.

ენათმეცნიერი გეგმავს ნაშრომის წიგნად გამოცემას, სადაც გრაკლიანის წარწერაზეც იქნება საუბარი.

გრაკლიანის წარწერა, ამერიკის, კერძოდ, მაიამის ბეტა ლაბორატორიამ ძვ.წ XI-X საუკუნეებს მიაკუთვნა, რამაც მნიშვნელოვნად შეიძლება შეცვალოს მსოფლიო დამწერლობის ისტორია. არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის, პროფესორ ვახტან ლიჩელის აზრით, დღემდე უცნობი წარწერა ყველაზე ადრეულია და საქართველოში დამწერლობის გამოყენების 3.000 წლის ისტორიას ცხადყოფს.

**"ლაივპრესის"** ჟურნალისტის ნინო თოლორაიას ინფორმაციით კულტურის სამინისტრომ გრაკლიანის გორაზე პირველი მონაპოვარი 2007 წელს თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზის მშენებლობის დროს გამოავლინა. კერძოდ, ავტობანის მშენებლობის დროს აღმოჩნდა უმნიშვნელოვანესი ნასახლარი და უნიკალური ღუმელი. იქ მიმდინარე არქეოლოგიური სამუშაოები მაშინ საგზაო დეპარტამენტმა დააფინანსა, მისი კონსერვაცია და ობიექტის შემდგომი განვითარება კი ვერ მოხერხდა.

2015 წელს ობიექტის კონსერვაცია განხორციელდა და გათხრებიც გაგრძელდა. საიტზე აღდგა ერთ-ერთი ნაგებობა. აღმოჩნდა ტაძარი, ორი საკურთხეველი და საკურთხევლის პოსტამენტზე დღემდე უცნობი დამწერლობის ერთსტრიქონიანი წარწერა. გრაკლიანის გორას მიენიჭა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და საქართველოს მთავრობის მიერ განესაზღვრა ეროვნული კატეგორია.

სამუშაოები 2016 წელსაც გაგრძელდა. ფონდ **"ქართუს"** მხარდაჭერით სამუზეუმო სივრცის მშენებლობა დაიწყო.

**ზურაბ კვარაცხელია,**
**ზუგდიდი**

**გაზეთ „ილორის" რედაქციის მინაწერი:** ***წალენჯიხური წარმოშობის სოხუმელი ცნობილი ენათმეცნიერის, ბატონ კუკური ფიფიას (კოჩა კოლხის) სენსაციური საჯარო ლექციის ზუგდიდის არტ გალერეაში ჩატარების ინიციატორ-ორგანიზატორი გახლდათ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო".***



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული გმირი



*(გაგრძელება წინა ნომრიდან)*

*"ჩვენი გამანადგურებლები, საჰაერო ბრძოლებში, – აღნიშნავდა ა.ს. იაკოვლევი, – მიუხედავად მანევრირების კარგი უნარისა, აღმოჩნდნენ გერმანულზე ბევრად უარესები, უთმობდნენ რა მათ სიჩქარეში, იარაღის კალიბრში და სროლის მანძილში. ჩვენი ბომბდამშენები ვერ დაფრინავდნენ გამანადგურებელთა დაცვის გარეშე და ეს უკანასკნელნიც ვერ შეედრებოდნენ გერმანულ ტექნიკას დაცვის ეფექტიანობით".*

მალე ანდრეი ტუპოლევი და მისი ჯგუფი ბოლშევოდან ქალაქ მოსკოვში გადაიყვანეს, თვითმფრინავთმშენებლობის საკავშირო საკონსტრუქტორო განყოფილების შენობაში. გარდა ტუპოლევისა, იქ მუშაობდნენ პეტლიაკოვისა და მიასიშჩევის ჯგუფები. სწორედ ამ "ზედლამში" იშვნენ ისეთი თვითმფრინავები, როგორებიც იყვნენ მოპიკირე ბომბდამშენი ПЕ-2, შორეული ფრენის ბომბდამშენები ДВБ-01 და ТУ-2. მათ შექმნაზე მუშაობდნენ როგორც პატიმრები, ასევე თავისუფალი სპეციალისტები. ამ "ზედლამისადმი" მიძღვნილ განსაკუთრებულ ბრძანებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ "განსაკუთრებულ ტექნიკურ ბიუროში სამუშაოდ მიიწვევიან ნებით დაქირავებული მოქალაქეები, პირველ რიგში კი ახალგაზრდა სპეციალისტები". ახალგაზრდებისადმი მუდმივი ყურადღება და განსაკუთრებული მზრუნველობა დამახასიათებელი გახლდათ ბერიასათვის.

ამასობაში დაპატიმრებულ კონსტრუქტორთა სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური საქმეები თავისი "იდუმალი" მიმართულებით ვითარდებოდნენ. ისიც სრულიად გაუგებარი იყო, ვინ იდგა ყველა ამ სამართლებრივი მანიპულაციების მიღმა...

1940 წლის 20 მაისს ტუპოლევს გამოუცხადეს განაჩენი – 15 წელი შრომაგასწორებით ბანაკში. 2 ივნისს პეტლიაკოვს მიუსაჯეს 10 წელი. დაახლოებით ორ კვირაში მათ ყველა თანამშრომელს "ჩამორიგებული" ჰქონდა ხუთიდან თხუთმეტ წლამდე სასჯელი.

1940 წლის 20 ივლისს სტალინმა მოიწვია შეხვედრაზე სსრკ საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარი ა. შახურინი და მისი მოადგილე, გამოჩენილი საბჭოთა კონსტრუქტორი ა. იაკოვლევი. სტალინი დაინტერესდა, თუ როგორ მისდიოდათ საქმეები პეტრიაკოვსა და მიასიშჩევს. სახალხო კომისარმა და მისმა მოადგილემ შეაქეს სახელოვანი ინჟინერ-კონსტრუქტორები. მაშინ სტალინმა იკითხა: "თქვენ როგორ თვლით, ამხანაგო ბერია?". ბერიამ უპასუხა, რომ ეთანხმება სახალხო კომისარიატის აზრს. "მაშინ ჩვენ შეგვიძლია მათი წახალისება," – შუბლი შეიჭმუხნა სტალინმა.

"მათი განთავისუფლება შეიძლება, – მშვიდად თქვა ბერიამ, – იმუშაონ თავის ნებაზე". "ახლახან გავასამართლეთ და უკვე გავანთავისუფლოთ," – ჩაიბურტყუნა სტალინმა. "მაგრამ ისინი ამის წინააღმდეგ არ წავლენ," – ეშმაკურად გაიღიმა ლავრენტი პავლეს ძემ. "კარგი, – შვებით ამოისუნთქა სტალინმა, გაამზადეთ წარდგინება და სათანადო დადგენილება. მოვუხსნით ნასამართლობას. დაე იმუშაონ. ისინი კიდევ ბევრ საშურ საქმეებს გააკეთებენ."

25 ივლისს პეტლიაკოვი ამნისტირებული იქნა შინსახკომის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელსაც ხელს ბერია აწერდა, 1941 წლის იანვარში კი მას სტალინური პრემია მიენიჭა. მასთან ერთად განთავისუფლდა კიდევ 18 კაცი, მათ შორის კონსტრუქტორი მიასიშჩევი.

1940 წლის ზაფხულში პატიმრობიდან განთავისუფლდა ტუპოლევიც და მასთან ერთად 32 ადამიანი. კიდევ უფრო მეტი ხალხი განთავისუფლდა 1943 წელს, დანარჩენები კი განთავისუფლდნენ 1944 და 1948 წლებში. როგორც ჩანს, ბევრად იოლი იყო მათი ამნისტირება.

*"ტუპოლევი, კოროლიოვი, მიასიშჩევი, მინცი, სხვები, რომლებიც რეპრესიებს ემსხვერპლნენ, მომითხრობდნენ მამაჩემის როლზე საბჭოთა მეცნიერების განთავისუფლების საქმეში... და ეს ხდებოდა ჩემს დაპატიმრებამდე და ჩემი დაპატიმრების შემდეგაც, როცა მამა უკვე აღარ იყო ცოცხალი,* – ამბობს სერგო ბერია. – *რა ინტერესი ჰქონდათ ამ ადამიანებს, რომ ფაქტები შეელამაზებინათ? ისინი თვლიდნენ, რომ მათი სიცოცხლე მამაჩემმა იხსნა. აზრი არ ჰქონდა მათი მხრიდან ჩემი გულის მოგების მცდელობას. პირიქით, მათ აიძულებდნენ, რომ მამაზე საწინააღმდეგო ჩვენებები მიეცათ...*

*აიღეთ იმ პერიოდის ნებისმიერი "საქმე". თითოეულ მათგანზე აუცილებლად შენიშნავთ სახალხო კომისრის, ან სხვა პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ვიზას. მაგალითად, თუ მეცნიერი წარმოადგენდა საავიაციო მრეწველობას, რეზოლუციას ადებდა ამ დარგის სახალხო კომისარი. ერთადერთი ადამიანი, რომლის ვიზაც არცერთ საბუთზე არ ფიგურირებს, იყო სერგო ორჯონიკიძე...*

*ვერავინ ვერ უარყოფს ასეთ ფაქტს: დიდი სამამულო ომის დროს, იმ დარგებში, რომელთაც ხელმძღვანელობდა ბერია, არ ყოფილა ვინმეს დაპატიმრების ან სამსახურიდან მოხსნის არცერთი შემთხვევა... და არა იმიტომ, რომ ამის გაკეთებას არავინ ცდილობდა. ცდილობდნენ. მაგრამ მამა სანქციას არ აძლევდა და ორგანოებისაგან მოითხოვდა ბრალდების რეალურად დასაბუთებას. სხვები სხვაგვარად იქცეოდნენ. როცა ამგვარი თხოვნით მიდიოდნენ ვოროშილოვთან, იგი წამსვე თანხმდებოდა. და, სამწუხაროდ, არა მხოლოდ იგი..."*

– მომეცით მე ფაქტი, რომ ეს მეცნიერი ნამდვილად თანამშრომლობდა დაზვერვასთან და ნუ მიყვებით, რომ იგი ინგლისის ჯაშუშია, – ამ სიტყვებით ბერია ცივ წყალს გადაასხამდა ხოლმე "ხალხის მტრებთან" ბრძოლას მოწადინებულ წესრიგის დამცველებს.

თუ მის ქვეშემრდომს რაიმე საფრთხე დაემუქრებოდა, ბერია გაბედულად მოქმედებდა. როცა ფიზიკოს ი.ბ. ხარიტონს ბრალდება წაუყენეს ინგლისის სასარგებლოდ ჯაშუშობაში, ბერიამ პირადად დაიცვა იგი სტალინთან და სარეკომენდაციო ბარათიც კი შეადგინა. ამგვარ საკითხებთან დაკავშირებით ბერია ამბობდა ხოლმე: "თუ ეს მეცნიერი თვლის, რომ ჩვენ არამზადები ვართ, ეს მისი პირადი საქმეა. მაგრამ იგი ხომ პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას?".

აი, იმ მეცნიერთა არასრული სია, რომელთაც ლავრენტი პავლეს ძე ბერიამ სიცოცხლე შეუნარჩუნა ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ შრომა გასწორებით ბანაკებში და სპეიალურ საკონსტრუქტორო ბიუროებში:

 რ.ლ. ბარტინი, ავიაკონსტრუქტორი;
ნ.ი. ბაზენკოვი, ავიაკონსტრუქტორი;
ვ.პ. გლუშკო, სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის კონსტრუქტორი;
დ.პ. გრიგოროვიჩი, ავიაკონსტრუქტორი;
ი.ვ. კონდრატიუკი, საჰაერო ელექტროსადგურის კონსტრუქტორი, კოსმონავტიკაზე ნაშრომების ავტორი;
ს.პ. კოროლიოვი, სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის კონსტრუქტორი;
ლ.ლ. კერბერი, შორეული რადიოკავშირის სპეციალისტი;
ვ.მ. მიასიშჩევი, ავიაკონსტრუქტორი;
ი.გ. ნემანი, ავიაკონსტრუქტორი;
ვ.მ. პეტლიაკოვი, ავიაკონსტრუქტორი;
ნ.ნ. პოლიკარპოვი, ავიაკონსტრუქტორი;
ა.ი. პუტილოვი, ავიაკონსტრუქტორი;
ლ.კ. რამზინი, ინჟინერი-თბოტექნიკოსი;
ლ.ს. ტერმინი, ტერმენვოკსის შემქმნელი;
დ.ლ. ტომაშევიჩი, ავიაკონსტრუქტორი;
ა.ნ. ტუპოლევი, ავიაკონსტრუქტორი;
ვ.ა. ჩიჟევსკი, ავიაკონსტრუქტორი;
ა.მ. ჩერიომუხინი, ავიაკონსტრუქტორი;
დ.ს. მაკაროვი, ავიაკონსტრუქტორი;
ა.ს. ფანშტეინი, ქიმიის მსხვილი სპეციალისტი;
ე.ი. შპიტალსკი, პროფესორი-ქიმიკოსი, ქიმიური იარაღის სპეციალისტი;
გ.ლ. შტუკატერი, სწავლული-ქიმიკოსი;
ვ.ვ. შნეგასი, სწავლული-ქიმიკოსი;
მ.ა. შვინდელმანი, სწავლული-ქიმიკოსი;
დ.ე. ვორობიოვი, სწავლული-ქიმიკოსი;
მ.ა. ბელდერი, სწავლული-ქიმიკოსი.

აი, რისი შექმნა შესძლეს მათ ციხის კედლებში:

მაღლამფრენი ბომბდამშენი დბვ-102 – 29-ე საკონსტრუქტორო ბიურო, შეიქმნა ვ.მ. მიასიშჩევის მიერ, 1938 წელი;

მოპიკირე ბომბდამშენი პე-2 – 29-ე საკონსტრუქტორო ბიურო, შეიქმნა ვ.მ. პეტლიაკოვის მიერ, 1939 წელი;

საფრონტო ბომბდამშენი ტე-2 – 29-ე საკონსტრუქტორო ბიურო, შეიქმნა ა.ნ. ტუპოლევის მიერ, 1941 წელი;

დამხმარე საავიაციო ნაწილები, შინსახკომთან არსებული ყაზანის №16 ქარხნის მიერ, შეიქმნა ბ.პ. გლუშკოს ხელმძღვანელობით, 1943-1944 წ;

152 მილიმეტრიანი უნივერსალური საარტილერიო სისტემა;

75 მილიმეტრიანი ზარბაზნის წარმოება პოლკებისათვის.

ყველაფერი ეს ძალზე წაადგა ფრონტს.

## ომი

***ყველამ, ვინც სახელმწიფოს სათავეში დგას, ისევე უნდა აიცილოს თავიდან ომი, როგორც გემის კაპიტანი იცილებს თავიდან საზღვაო კატასტროფას.***
**გი დე მოპასანი**

სტალინი ცდილობდა, რომ უკანასკნელ საათებამდე აერიდებინა თავი ფაშისტურ გერმანიასთან შეტაკებისათვის.

ეშინოდა? არა! ხალხს უფრთხილდებოდა. "გამარჯვებისა და დამარცხების" ზოგიერთი თეორეტიკოსისაგან განსხვავებით სტალინი ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის პერიოდიდან იყო ნაზიარები თოფისწამლის სუნს და კარგად იცოდა ადამიანების სისხლის ფერი. გარდა ამისა, სამშობლო არ იყო მზად მასშტაბური საომარი მოქმედებებისათვის.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების საერთო რიცხოვნება 1941 წლის ივნისისათვის შეადგენდა 5 მილიონზე მეტ ადამიანს. დასავლეთის სასაზღვრო ოლქებში, ომის დაწყების წინა პერიოდში, დისლოცირებული იყო 170 დივიზია (ქვეითი, კავალერიის, სატანკო, მოტორიზებული) და მსროლელთა ორი ბრიგადა. მათში ირიცხებოდა 2 მილიონ 680 ათასი ადამიანი, 1.800 მძიმე და საშუალო ტანკი, მათ შორის 1475 ტანკი КБ და Т-34, უამრავი მსუბუქი ტანკი, უკვე მორალურად და ფიზიკურად მოძველებული და შეზღუდული მოტორესურსის მქონე. აქ ასევე იყო 2.680 ქვემეხი და ნაღმტყორცნი, 37.500 თვითმფრინავი (აქედან ახალი ტიპის იყო 1540 ეკზემპლარი, დანარჩენი კი ძველი კონსტრუქციისანი გახლდნენ). მრავალი დივიზია იმყოფებოდა შვიდობიანი პერიოდის შემცირებული შტატებით და მხოლოდ მათი შეზღუდული რაოდენობა იქნა გადაყვანილი სრულ შტატზე. ამრიგად, სიტუაციის გამწვავებასთან დაკავშირებით, საბჭოთა სარდლობა ატარებდა ჯარების გადაადგილების მასშტაბურ ღონისძიებებს როგორც სასაზღვრო, ასევე შიდა ოლქებში. მაგრამ, ამ პროცესის საბოლოოდ დასრულება ვერ მოხერხდა. როცა ფაშისტური გერმანია ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, საბჭოთა შეიარაღებული ძალები გაშლილი იყვნენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე. ფრონტის საერთო სიგრძე შეადგენდა 4,500 კილომეტრს, რომელთაგან 1.125 კილომეტრი მოდიოდა ზღვების სანაპიროებზე, რომელსაც საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტი იცავდა. ფაქტიურად საბჭოთა 170 დივიზიას და 2 ბრიგადას ეკავათ ფრონტის 3.375-კილომეტრიანი მონაკვეთი და სიღრმეში იკავებდნენ 200-300 კილომეტრი სიგრძის ტერიტორიას. ყველაზე ახლოს სახელმწიფო საზღვართან იმყოფებოდნენ პირველი ეშელონის ჯარები, რომელშიც საერთო ჯამში შედიოდა 56 დივიზია და ორი ბრიგადა. ისინი სიღრმეში 50 კილომეტრზე იყვნენ განლაგებული. მეორე ეშელონის დივიზიები იმყოფებოდნენ საზღვრიდან 50-100 კილომეტრის დაშორებით, რეზერვის ქვედანაყოფები კი იმყოფებოდნენ საზღვრიდან 100-400 კილომეტრში. ყველა სატანკო დივიზია შედიოდა მეორე ეშელონისა და რეზერვის შემადგენლობაში.

საბჭოთა ჯარების დაჯგუფებებს შორის სუსტი იყო პირველი ეშელონი და არასაკმარისად იყო მომზადებული მტრის დასახვედრად რეზერვიც. მეორე სტრატეგიული ეშელონის არ იყო საბოლოოდ გაშლილი. ნაკლოვანებები შეინიშნებოდა სამობილიზაციო რეზერვის მზადყოფნის საქმეშიც. მათი უმეტესი რაოდენობა განთავსებული იყო სასაზღვრო ზოლთან ახლოს და ომის პირველივე დღეებში სწორედ მათ იწვნიეს გერმანელ-ფაშისტთა გამანადგურებელი დარტყმები.

***თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი,***
**(გაგრძელება იქნება)**

**სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ნათელა ხუხუას და ნანა ალმასიას შვილის და დის**
**რუსუდან ალმასიას**
**გარდაცვალების გამო...**
**უფალმა სასუფეველი დაუმკვიდროს რუსიკოს სულს...**

# ტყუილი დაპირებები და გაუარესებული ყოფა

სულ რამდენიმე დღეც და ახალი წელი შემოაბიჯებს ჩვენს სახლებში. 2018 წლის დადგომასთან ერთად ახალი იმედებიც ჩნდება ნებისმიერი ადამიანის, ოჯახის, ქვეყნისთვის. იმედით შევხვდით 2017, 2016, 2015... წლებს. ასე იყო, არის და იქნება, ვიდრე კაცობრიობა იარსებებს.

ახალი წელი სიახლის მომტანად აღიქმება ადამიანში. ეს კი გარკვეულწილად სახელმწიფოსაც ეხება, მის დამოკიდებულებას საკუთარი ხალხისადმი. ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული ხელისუფლება მუდამ ძიებაშია საკუთარი ხალხის მოთხოვნების, დანაპირების შესასრულებლად. ძნელად მოიძებნება ხელისუფლება, დანაპირებს სრულად, დროულად, პირნათლად რომ ასრულებდეს. თუმცა არის ისეთი, რომელიც მრავლიდან ნახევარს ან მცირედს მაინც ასრულებს. საქართველოს ხელისუფლება ის იშვიათი გამონაკლისია, მცირედსაც რომ არ ასრულებს. მან მარტო დაპირება იცის – მსუყე, მრავალმხრივი. განა განვლილი 6 წელი ამის დასტური არ არის?!

დაპირებასა და შესრულებას შორის დიდი ზღვარია. მისი ამოვსება მუყაითი შრომით, ნიჭით, თავდადებით, პროფესიონალიზმით არის შესაძლებელი. თუ ამ ჩამონათვალიდან ერთი გამოგაკლდა, დაპირება სრულად ვერ შესრულდება. თუ ყველა გამოგაკლდა – ზედმეტია შესრულებაზე ლაპარაკი.

„საოცნებო“ ხელისუფლებამ ყველა კომპონენტი გამოტოვა, მაგრამ ჯიქურ გაიძახის – დანაპირებს ვასრულებო. და როდესაც ხალხმა საწინააღმდეგო თქვა, **„ოცნების“** დამფუძნებელმა შეუსრულებელი, შესრულებულად გამოაცხადა და ხალხს დაუნახაობაში დასდო ბრალი.

რა გაეწყობა, რომ იტყვიან – ძალა აღმართს ხნავს. **„ოცნების“** აზრით, ხალხი ვერ ხედავს ეკონომიკურ წინსვლას, ეროვნული ვალუტის სიმყარეს, აგუგუნებულ ფაბრიკა-ქარხნებს, საწარმოებს, აბიბინებულ ველ-მინდვრებს... მაინც რა დაუნახაობის სენმა შეგვიპყრო?

ნუთუ ვერ უნდა მივხვდეთ, რომ **„ის“** ჩვენზე უკეთ ხედავს, ჩვენზე ბევრი იცის და ჩვენზე ზრუნვაში ათენებს და აღამებს?

და რახან მას ჩვენზე უკეთესი მხედველობა აქვს და შორსმჭვრეტელიცაა, უნდა დავუჯეროთ და ვაღიაროთ, რომ საქართველო პენსიების მიხედვით (66 აშშ-ს დოლარი) ყოფილ საბჭოთა სივრცეში ბოლო ადგილზე კი არა, პირველ ადგილზეა ანუ ესტონეთზე (434 აშშ-ს დოლარი) მაღლაა. გაცილებით უკეთ გამოვიყურებით, ვიდრე ჩვენი მეზობლები – აზერბაიჯანი (117 აშშ-ს დოლარი), სომხეთი (84 აშშ-ს დოლარი), რუსეთი (216 აშშ-ს დოლარი), თურქეთი (465 აშშ-ს დოლარი). საშუალო ხელფასიც მეტი გვაქვს, ვიდრე მეზობლებს. საქართველო საშუალო ხელფასის მხრივ მსოფლიოს აუტსაიდერი ქვეყნების რიგებშია. მას არა მარტო მეზობლები უსწრებენ, არამედ მონღოლეთი – 458 აშშ-ს დოლარი, კოსოვო – 415 აშშ-ს დოლარი, განა – 316 აშშ-ს დოლარი, ეთიოპია – 237 აშშ-ს დოლარი...

საქართველოს **„მყარმა“** სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ გვიკარნახა თბილისის საახალწლო ილუმინაციისთვის 3 მილიონი ლარი დაგვეხარჯა, იტალიიდან ჩამოტანილ განათებაში. სხვა ღონისძიებები ხომ უფასოდ არ გაიმართება? – კონცერტები მაქვს მხედველობაში. მთელი წლის განმავლობაში გაწეული **„ნაყოფიერი შრომის“** შემდეგ, დასვენებაც ხომ არის საჭირო?!

ჰოდა, საახალწლოდ მსუყედ დავისვენებთ – ზოგი სად და ზოგიც სად – უცხოეთი მაქვს მხედველობაში. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მსხვილი შემოსავლები ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა. **„2017 წლის ქონების გადასახადის დეკლარაცია 40 ათას ლარზე მეტ შემოსავალზე 29.346-მა კაცმა შეავსო; 100 ათას ლარზე მეტ შემოსავალზე – 8.764-მა. ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა, მაგალითად მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ 2016 წელს პრემია-დანამატი 18-ჯერ მიიღო, მისმა მოადგილეებმა – 21-ჯერ. მათი წლიური შემოსავალი 110 ათასი იყო. შს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილმა 2016 წლის თანამდებობრივ სარგოსთან ერთად, რომელიც წელიწადში 32.640 ლარია, 41-ჯერ მიიღო სხვადასხვა დანამატი – 11.265 ლარი. სულ – 145,2 ათასი ლარი.“** – წერს ნიკა კორინთელი გაზეთ **„საქართველო და მსოფლიოში“**.

თბილისში მოკალათებული მაღალჩინოსნებისა და მოხელეების შემოსავლებს ტოლს არ უდებენ რეგიონების მოხელეები – არჩეულ-დანიშნული, რაც უდავოდ გვაფიქრებინებს, რომ **„საოცნებო“** ხელისუფლებამ არათუ შეასრულა დანაპირები, არამედ გადააჭარბა კიდევაც, ოღონდ საკუთარი თავისთვის და არა ხალხისთვის.

**„საოცნებო“** ხელისუფლების დაპირება ქვეყნის ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებით ისეთივე მყარია, როგორც 2012 წელს ხელისუფლებაში მოსვლის დროს, ოღონდ ერთია – აღნიშნული ორგანიზაციების აკადემიური თავშეკავებულობა გაწევრებასთან დაკავშირებით არის თვალშისაცემი. მაინც რამდენჯერ უნდა ითქვას დასავლელი მაღალჩინოსნების მხრიდან, რომ საქართველოს და უკრაინას არც ხვალ, არც ზეგ ანუ უახლოეს მომავალში ვერ ხედავენ ვერც ნატოში და ვერც ევროკავშირში.

ინტეგრაციასთან დაკავშირებით მოგვიანებით მოგახსენებთ – ახლა კი ტანკსაწინააღმდეგო იმ იარაღის შესახებ, **„ჯაველინი“** რომ ჰქვია. აშშ-ს კონგრესმა მზადყოფნა გამოთქვა ჩვენთვის **„ჯაველინის“** 400 რაკეტისა და მისი 70 გასაშვები აპარატის მოყიდვის თაობაზე, რაც საქართველოს 75 მილიონი დოლარი დაუჯდება. ამერიკული მხარის გადაწყვეტილებამ ისეთი ეიფორია გამოიწვია **„საოცნებო“** ხელისუფლებაში, თითქოს საქართველოს ტერიტორია გამთლიანდა.

რა გამთლიანება, რის გამთლიანება, როდესაც სტრატეგიულმა პარტნიორმა ამერიკამ პატივი დაგვდო და იარაღს გვაძლევს, თანაც როგორს, მსოფლიოში ბადალი რომ არ ჰყავს. ასე ახასიათებს მას **„ოცნებელები“** და არა მარტო ისინი, **„ნაციონალებიც“** კი. აწი ნახეთ რუსებო, თუ სატანკო შეტევას განახორციელებთ, ყველა თქვენი ტანკი განადგურებული იქნება.

ბარაქალა ამერიკელებს. მათი **„ხელგაშლილობა“** მისასალმებელია, ვინაიდან ომის დაწყებამდე რუსი დაფიქრდება და **„ჯაველინების“** შიშით აგრესიას გადაიფიქრებს. ასე მარტივად ფიქრობს ხელისუფლება და ნაფიქრალს ვერბალურად გვანდობს. **„ჯაველინები“** დასაფიქრებელია, მაგრამ რუსებს ტანკების გარდა სხვა იარაღიც რომ აქვს?

ნუთუ ძნელი იყო სირიის დაბომბვიდან გამომდინარე, ჩვენს პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს რეალური დასკვნები გაეკეთებინათ?

რუსეთმა კასპიის ზღვაში მცურავი სამხედრო გემებიდან განახორციელა სირიის ტერიტორიაზე განლაგებული **„ისლამური სახელმწიფოს“** სამხედრო ბაზების დაბომბვა. ანალოგიურს ჰქონდა ადგილი ხმელთაშუა ზღვაში მცურავი წყალქვეშა ნავებიდან და სტრატეგიული ბომბდამშენი თვითმფრინავებიდან.

სირიის სამხედრო მოქმედების თეატრი გაცილებით შორს არის რუსეთის სახმელეთო-სამხედრო და საზღვაო ბაზებიდან, ვიდრე ყურისძირში მდებარე საქართველო, ამდენად მისი პირისაგან მიწისა აღგვა ნამდვილად არ გაუჭირდება. გარდა ამისა, რუსეთს სხვა იარაღიც აქვს, ისეთი, რომელიც შეასრულებს იმ დავალებას, რასაც მოწინააღმდეგის (ომის დაწყების შემთხვევაში) შეიარაღებული ძალების სწრაფი განადგურება ჰქვია.

როგორც ჩანს, ოპტიმიზმით მოლაპარაკე **„პატრიოტებს“** შესაბამისი დასკვნები არ გაუკეთებიათ 2008 წლის აგვისტოს ომიდან. მაშინ რუსეთის არმიაში ახალდაწყებული იყო სამხედრო რეფორმები და მიუხედავად ამისა ცხინვალის ომში ჩართვიდან თითზე ჩამოსათვლელ საათებში მოახერხა ქართული არმიის განეიტრალება.

დღეს, რუსეთის არმია სულ სხვაა – თანამედროვე იარაღით აღჭურვილი, დისციპლინირებული სამხედრო პერსონალით და საბრძოლო შემართებით გაჟღენთილი, რაც აშშ-ს სამხედროებისა და პოლიტიკოსების დიდი თავსატკივარია. აღნიშნულიდან გამომდინარე იბადება კითხვა – რა დავუშავეთ აშშ-ს, რომელიც ხელს გვკრავს და გვაქეზებს გოლიათთან შესარკინებლად?!

პასუხი – მარტივია. კარგახანია აშშ-ი დაეჩვია ნაკვერჩხლიდან შემწვარი წაბლის სხვისი ხელით გამოღებას. ერთხელ უკვე გამოგვაღებინა – ცხინვალის ომის სახით, რამაც ქვეყანას, ისედაც მცირე ტერიტორიის 20% დააკარგვინა, რომ აღარაფერი ვთქვათ მსხვერპლზე.

საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ვაშინგტონის მიერ გადადგმული ნაბიჯი **„ჯაველინების“** მოყიდვის თვალსაზრისით მცდარი პოლიტიკაა და ემსახურება რევანშისტული მოსაზრების ანუ რუსეთის პროვოცირებას. იქნებ, ეს უნდა აშშ-ს, ისე, როგორც 2008 წელს?

ეს, ის შეკითხვაა, რამაც ხელისუფლება, ნაცვლად ეიფორიული განცხადებებისა, სერიოზულად უნდა დააფიქროს. არანაკლებ დასაფიქრებელია **„ჯაველინების“** შესასყიდი თანხაც – 75 მილიონი დოლარი და ეს მაშინ, როდესაც ფულის დაზოგვის მიზნით სამინისტროებს აუქმებენ?

რა გამოდის – მარჯვენა ხელმა არ იცის, მარცხენა რას აკეთებს?

იქნებ ხელისუფლება ფიქრობს, რომ **„ჯაველინების“** შესყიდვით, ამერიკელების გულს მოიგებენ (მერამდენედ) და ისინიც კატეგორიულად დაჰკრავენ ნატოს მაგიდას ხელს და საქართველოს მიაღებინებენ ნატოში?

ასე ფიქრობდა სააკაშვილიც, რომელსაც ეგონა, რომ ვაშინგტონი წყვეტს ყველაფერს – ნატოში შესვლაც და ევროკავშირშიც, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ნატოს წესდებიდან გამომდინარე პრობლემებიანი ქვეყანა, მითუმეტეს ტერიტორიული თვალსაზრისით, ვერ გახდება ორგანიზაციის წევრი. თუ ამას დავუმატებთ სხვა პრობლემებსაც – ნატომდე დიდი და გრძელი გზაა გასავლელი, რაც ხელისუფლებამ იცის, მაგრამ თავს ისულელებს და ცდილობს ხალხიც გაასულელოს დაპირებით – რომ ნატოშიც შევალთ და ევროკავშირშიც. თუმცა ხალხი არ სულელდება და სულ უფრო ხშირად აცხადებს, რომ ნატოში შესვლა ზღაპარია.

ხალხის ნეგატიურ პოზიციასთან მიმართებაში, დასავლეთმა შემდეგი **„დასამშვიდებელი“** აბი გამოიგონა: **„საქართველომ ჯერ ის უნდა გადაწყვიტოს, დაბალანსების პოლიტიკა უნდა აწარმოოს თუ მიტმასნების. თუ მთავრობას ბალანსის პოლიტიკა სურს, მაშინ ნატო საუკეთესო მოკავშირეა რუსეთის დასაბალანსებლად. რუსეთთან მიტმასნების შემთხვევაში კი, ქვეყანამ ის უნდა გაითავისოს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილი არასდროს იქნება და საქართველოს მთავრობა მოსკოვის მარიონეტი გახდება. არ ვფიქრობ, რომ საქართველოს საზოგადოებას ეს უნდა“,** – აცხადებს ჯეიმს კოლი, **„ატლანტიკური საბჭოს“** მკვლევარი.

რას ნიშნავს ეს, თუ არა მოწოდებას – რუსეთისკენ არ გაიხედოთ, აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს არ დაგიბრუნებთ და თქვენც მისი დიქტატის ქვეშ აღმოჩნდებითო. **„მეგობრული“** დარიგება უდავოდ იმის მაუწყებელია, რომ საქართველოს მოსახლეობის სოლიდურ ნაწილს რუსეთთან ურთიერთობა სურს. მასთან კეთილმეზობლური კავშირების დამყარება, რაც ეწინააღმდეგება კოლექტიური დასავლეთის პოლიტიკას.

ევროკავშირში შესვლას ისეთივე პრობლემები ახლავს, როგორც ნატოში, ერთის განსხვავებით – ამ შემთხვევაში თვალშისაცემია მათი (პრობლემების) სიუხვე. დასავლეთმა პრობლემების მოსაგვარებლად თითქოს გადადგა ნაბიჯები, მათ შორის ისეთი, **„აღმოსავლეთის პარტნიორობა“** რომ ჰქვია, მაგრამ წარუმატებლად.

ეს გამოგონება 2008 წელს უკავშირდება. სწორედ მაშინ გაჟღერდა ამ უნიკალური პარტნიორობის შესახებ. უკრაინის, ბელორუსის, მოლდოვის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სახით ევროკავშირს ისეთი მოკავშირეები უნდა შეეძინა, რომლებიც ხელს აიღებდნენ რუსეთთან ურთიერთობებზე და თავდავიწყებით ჩაეხუტებოდნენ ევროკავშირს. ეს უკანასკნელი, გამადიდებელი შუშით შეაფასებდა მათ ეკონომიკურ და სხვა სახის რეფორმებს, **„დიდსულოვნად“** ურჩევდა კორექტირებას და ხანგრძლივი პერიოდით ევროკავშირში შესასვლელ რიგში ჩააყენებდა.

ასეც მოხდა, მაგრამ ევროკავშირში შესვლის მსურველებმა რატომღაც იფიქრეს, რომ ინტეგრაციის პროცესი მალე დასრულდებოდა და შვებით ამოისუნთქავდნენ, მაგრამ არა. ევროკავშირს, უკვე პრობლემებიანს და ლტოლვილების მოძალებისგან დასუსტებულს, სულაც არ ეპიტნავება ახალი წევრების მიღება, თანაც ისეთის – ეკონომიკა რომ დაბალ დონეზე აქვთ. მაშ რა რჯის საქართველოს ხელისუფლებას ტყუილი უთხრას ხალხს ევროკავშირში გაწევრებასთან დაკავშირებით?

მხოლოდ ერთი რამ – ევროკავშირით გაწბილებულმა ხალხმა რუსეთისკენ არ გაიხედოს. და თუ გაიხედავს, სხვა თვალით შეხედოს, მაგალითად პეტრე მამრაძის – რუსეთში მძიმე ეკონომიკური ვითარებაა, ხალხი ქუჩებში გამოდის, პუტინი და მისი გუნდი ქურდები არიან. პუტინის სიმდიდრე ლამის არაბული შეიხების სიმდიდრეზე მეტია და ა.შ.

მამრაძეს სურს ხალხს ცუდი წარმოდგენა შეუქმნას რუსეთზე. ის, ამ თვალსაზრისით ისეთივეა, როგორც ზემონახსენები ამერიკელი ექსპერტი. თუმცა რა გასაკვირია – ორივენი და კიდევ მრავალნი ამერიკულს ძოვენ, ისე, როგორც ხელისუფლება, არასამთავრობოები, მედია... მაინც რამდენი ყოფილან?

მათი შემხედვარე ხალხი რომ მაინც რუსეთისკენ იყურება – გასაკვირია, თუმცა არა. ხალხი იქითკენ იყურება, საიდანაც უკეთესობას მოელის. დასავლეთისკენ ყურებამ რაც მოუტანა იცის, ჯერი ისევ ძველსა და ნაცადზეა. ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

პოეზიის კუთხე

## ავი მწერი ანუ ფაროსანა და უფაროდ დარჩენილთა ჩივილი

*თითქოს ჭირი არ გვყოფნიდა,*
*ეს დოზანაც – ფაროსანა,*
*ფარულად შემოგვესია*
*ჩუმად, მგლურად, უცხო თანაც,*
*ჯიშ-ჯილაგით აზიური,*
*არც ჭრელი და არც მზიური,*
*შავი ფერის, მუქი ფრთებით,*
*მავნებელი მასიური,*
*თხილის ხეთა, სხვა ნარგავთა*
*ძირიანად გამხმობელი,*
*არც სულდგმულთა დანმდობელი,*
*ფაროსანა ისრიანი,*
*საკვირველად გესლიანით,*
*მჩხვლეტელ ნესტრით მომწამლავი,*
*მზა მოსავლის წარმტაცველი,*
*სახელიც აქვს შესაფერი:*
*თან ჩქარა დაგვიშრო წყარო*
*ფარას, ფულის აღმომცენი,*
*უწვალებლად საშოვნელის...*
*მაგრამ მათ ეს არ შერჩებათ,*
*მალე ბოლო მოეღებათ,*
*ვითარცა ყველა ავმსურველს,*
*რადგან თაკარა დღეებში,*
*იმდენი შხამი ასხურეს.*

**ანზორ ზუგდიდელი**
**(ბარამია)**

## იშენთ სი გიგორუანდე!

**კებურს დაჩხირ იტკარჩალუ ნორცხვა**
**მორჩაფირი,**
**ჩილამურით დორტელენო ნორჩალ**
**გორჩაფირი...**
**ხვალე რინა მუთ გოხიოლ ჩქიმი**
**ჩოჩაფინი?!**
**ჩქიმი აკა სირექიშო სორე მოჩქვანქინი! –**

**გური მუჭო მობშირუნი, გური მაღურელი**
**ღანდაშ ძგასუ ელებგარდე**
**წიმოპაღურელი.**
**რუმეს ეწმიკიბირანდე რუმეს**
**ნარღულერი,**
**იშენთ სი გიგორუანდე, ეგბა ვაბღურენი.**

**ტყალონას გერ ყურანდასუ შკირენ**
**მოკათერი,**
**კებურს ელაზუმინუნდას ჯაბი დოკათერი**
**-**
**ღალ-პიც ელარკიანდასუ ტურა ლეტაშ**
**ფერი,**
**ნარღო ქომოიგორუა სოდგა**
**ვეგლართენი! –**

**ჟიშონ ბორჯღა იბორჯუდას ტუტათ**
**მორღვაფირი,**
**შარას ნაველ ამონკანდას ლერჭყვათ**
**მოგაფირი**
**რჩიათ გეგნორჩელებენო გურიშ ბოგა-**
**თირი**
**ოცჭვაფურო მიგოჩქუდი მუშენ**
**დოგათირი**

**მუ რე ბორია ისარსალუ ჭინკეშ**
**მოჩქვაფირი**
**მუჟამ პოფუ ეფერ ოჭუ სქანი მოკათინი,**
**ჩქიმი აკა სი რექიშო სო რე მოჩქვანქინი.**

**კებურს დაჩხირ იტკარჩალუ ნორცხვა**
**მორჩაფირი,**
**ჩილამურით დორტელენო ნორჩალ**
**გორჩაფირი...**

**ჯამბულ ჭანტურია,**
**აბაშა**

ქართველი მწერლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეუფე შიოს ღირსეული დაფასება



დიდი ინტერესით მოვისმინეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის განცხადება პატრიარქის თანამოსაყდრედ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს გამორჩევის შესახებ.

ეს გახლავთ მისასალმებელი და სასურველი ცნობა, რამეთუ სამეგრელოს მცხოვრებთა დიდი ნაწილი კარგად იცნობს მიტროპოლიტ შიოს მამობრივ მოღვაწეობას. ცნობილია, რომ 2003 წლის 8 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის კრების განჩინებით ჭყონდიდისა და ფოთ-სენაკის ეპარქიათა ხელახალი გადანაწილებათა საფუძველზე ჩამოყალიბდა სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია.

ახლადდაარსებულ ეპარქიის საჭეთმპყრობლად სინოდმა გამოარჩია 34 წლის არქიმადრიტი შიო (მუჯირი) რომელსაც ჰქონდა უმაღლესი სასულიერო განათლება და გარკვეული გამოცდილება სასულიერო მოღვაწეობისა. მახსოვს არქიმანდრიტ შიოს მიერ სენაკის იოანე ნათლისცემის საკათედრო ტაძარში ჩატარებული პირველი წირვა და ქადაგება. რომელიც ასე დაიწყო: **"სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!"** დინჯად, აუჩქარებლად ისაუბრა უფალზე, რწმენაზე. მარადიულზე, წარუვალზე, ჭეშმარიტებაზე, ღმერთის იმგვარ გაგებაზე, რაც გზას უხსნის მის უსასრულო სრულქმნას და შემოქმედებით აქტივობას. რომ ადამიანის უმაღლესი ნიშანი გონითი აქტია, ხოლო გონი დედამიწაზე გაგრძელებაა ზეციური გონისა და გარანტია თანაშემოქმედებისა.

ეპარქიაში მობრძანების დღიდან გააძლიერა ზრუნვა ორთავე რაიონებში მრევლის რწმენის გაჯანსაღებისთვის. საზრუნავად გაიხადა აეშენებინა სალოცავები და ტაძრები. მეუფემ შესძლო სისრულეში მოეყვანა ჩანაფიქრი. უფრო მეტი, სენაკში გახსნა წმინდა მამა ალექსი ბერის სახელობის გიმნაზია, კეთილმოწყობილი, თანამედროვე სასწავლებელი, სადაც დღეს, სამასზე მეტი ახალგაზრდა ეუფლება ცოდნას.

მეუფე შიო ის მღვდელმსახურია, რომელსაც ზედმიწევნით გათავისებული აქვს ჩვენი ეკლესის ამაგი წარსულში. ის, რომ დედა ეკლესიამ მრავალი საუკუნეების განმავლობაში დაიცვა ჩვენი ვინაობა, გვიხსნა გადაგვარება-განადგურებისაგან, რომ მის შვილთა მიერ შეიქმნა რჩეული ლიტერატურული და ხუროთმოძღვრული ქმნილებები.

სწორედ ეს ედო საფუძვლად იმას, რომ მეუფე შიომ, როგორც ნიჭიერმა და მზრუნველმა მღვდელმსახურმა დიდი შრომა გასწია, დაეთვალიერებინა ეპარქიაში შემავალი ტაძრები, შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარა ნაგებობების აღდგენასა და წირვა-ლოცვის წარმართვაში. იგი გაეცნო სამეგრელოს მდიდარ ტრადიციებს. განსაკუთრებული დაინტერესება გამოავლინა ღირსი მამა ალექსი ბერის (სენაკელის) ღვაწლის შესწავლისა და წარმოჩენისთვის. საფუძვლიანად მოიკვლია სამეგრელოში ერთ-ერთი პირველი – თეკლათის ყოვლისწმინდა ღვთისმშობლის შობის დედათა მონასტრის დაარსების წარსული და 2014 წელს გამოიცა წიგნი სათაურით: **„თეკლათის დედათა მონასტრის ისტორიიდან"** (მე-19 საუკუნის 60-იანი და მე-20 საუკუნის 30-ანი წლები). ეს გახლავთ კვალიფიციური, მეცნიერულად დახვეწილი 260-გვერდიანი ნაშრომი. უამრავ პირველწყაროთა მოკვლევის შედეგად შედგენილი წიგნი, რომელიც საფუძვლად დაედო მეუფე შიოს სადოქტორო სამეცნიერო ნაღვაწს.

დასახელებული წიგნი მიტროპოლიტ შიოს ავტოგრაფით ახლა მაგიდაზე მიდევს. მქონდა პატივი მოკრძალებული მონაწილეობა მიმეღო მის შედგენაში. უნდა აღინიშნოს, რომ მეუფე აქტიურად მონაწილეობდა მხარის სასულიერო თუ შემოქმედებით საქმიანობაში. სწორედ მისი კურთხევით შევადგინე უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის ამბროსი (ხელაიას) მოღვაწეობისა და ცხოვრებისადმი მიძღვნილი წიგნი. ასევე, ეგრისის ისტორია **„მზე ქარიშხალში"** და სხვა.

ღვთის ნებით, მეუფე შიო, მისაბაძ გულკეთილებას იჩენდა უპოვართა და ავადმყოფთა მიმართ. დარწმუნებული ვარ მომავალში კიდევ უფრო დაინტერესებას გამოიჩენს ახალგაზრდების აღზრდისა და შეჭირვებულთა დასახმარებლად.

საქართველოს ჰყოლია ნამდვილი ღვთისმოსავი, ხალხის მოყვარე მამები, მათგან მიტროპოლიტი შიო გამორჩეულია. ამიტომ მივესალმები მის არჩევას საქართველოს პატრიარქის მოსაყდრედ და დარწმუნებული ვართ, ის მაღალი პასუხისგებით შეასრულებს უფლისა და ერის წინაშე დაკისრებულ მოვალეობას.

**ბორის დავითაია,**
**აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი,**
**სენაკი**

# სააკაშვილი — როგორც ასეთი

2003 წლის შემოდგომის **"შევარდნა"** დღემდე ტრიალებს მსოფლიოს ელექტრონულ მედიაში – ცხადია არა ისეთი ინტენსიურობით, როგორც ადრე, მაგრამ მსოფლიოს თანამედროვე ისტორიის განხილვისას ამ აქტს პირველ რიგში იხსენებენ.

მიხვდით ალბათ რა მაქვს მხედველობაში – სააკაშვილის შევარდნა საქართველოს პარლამენტის ახალი მოწვევის პირველ სხდომაზე, რომელსაც მაშინდელი პრეზიდენტი შევარდნაძე უძღვებოდა.

ის შევარდნა დასავლურმა პოლიტიკამ და მედიამ პოზიტიურად შეაფასა ანუ პოსტსაბჭოთა სივრცეში გამეფებული კორუფციის და დახავსებული საბჭოური მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლად.

პარლამენტში შევარდნამ, სააკაშვილს უკვდავი რევოლუციონერის იმიჯი შესძინა და მის შემდგომ ქმედებას, როგორც პრეზიდენტის, განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა. ასეთი იყო საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის და სრულიად დასავლეთის პოლიტიკური წრეების გადაწყვეტილება. რა დითირამბები არ ითქვა მაშინ აშშ-ს ადმინისტრაციის მხრიდან. მათში განსაკუთრებით გამოირჩეოდა – **"თავისუფლებისა და დემოკრატიის შუქურა"**.

იმ შევარდნიდან, 2017 წლის დეკემბრის **"ავარდნამდე"** მრავალი წელი გავიდა. მიხვდით ალბათ რა მაქვს მხედველობაში – სააკაშვილის, საცხოვრებელი სახლის სახურავზე **"ავარდნა"**, რამაც მთელი მსოფლიოს ელექტრონული მედიის და ბეჭდვითი პრესის ყურადღება მიიპყრო. ზოგიერთი, მათ შორის რუსეთის სამთავრობო ტელეარხები პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ სააკაშვილის ირგვლივ დატრიალებულ მოვლენებს.

უკრაინის დედაქალაქში დატრიალებული ტრაგიკომედია უდავოდ მრავალი წლის განმავლობაში იქნება მსოფლიოს ელექტრონული მედიის **"დამამშვენებელი"**. ხუმრობა ხომ არ არის ყოფილი პრეზიდენტის, თან მოქმედი პოლიტიკოსის მიერ საცხოვრებელი სახლის სახურავის დალაშქვრა; უკრაინელი სპეცსამსახურების მუშაკების მიერ მისი შეპყრობა; სახურავიდან ჩამოყვანა და პოლიციის ავტომანქანაში შეტენვა; სააკაშვილის მომხრეების თავგანწირული მოქმედება მისი ავტომანქანიდან ძალით გამოყვანის მიზნით და ბოლოს სააკაშვილის გაღიმებულ-შეშლილი სახე – ავტომანქანიდან გამოყვანის შემდეგ – ისეთი, როგორც 2003 წელს – პარლამენტში შევარდნის დროს.

ეს ორი ისტორიული მომენტი სხვადასხვა ქვეყანაში მოხდა, თუმცა ერთმანეთთან დაძმობილებულში, ერთ ბედქვეშ მყოფში, ერთი და იგივე პატრონის პირობებში. საქართველოს და უკრაინას, თანამედროვე ისტორიაში ბევრი რამ აკავშირებს, რომელიც 1991 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. ორივემ **"ფერად-ყვავილოვანი"** რევოლუციებით გაითქვა სახელი.

რევოლუციების დამდგმელი რეჟისორი აშშ-ს პოლიტიკური წრეები იყვნენ, სპეცსამსახურებთან ერთად. მიზანი – მოსკოვის გავლენის სფეროდან, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დახსნა. ამერიკელთა მცდელობას, მილიონობით დახარჯულ ფულს, ტვინის გამოსარეცხ ტრენინგებს ფუჭად არ ჩაუვლია და თუ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან სამში მაინც – საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, მათთვის დადებითი შედეგი იქნა მიღებული, უდავოდ დიდ წარმატებად შეიძლება აღვიქვათ.

სამივეს სძულს რუსეთი. სამივეში ქვეყნის მართვის სადავეები არასამთავრობო ორგანიზაციების, ოლიგარქების, პროამერიკულად განწყობილი ხელისუფლების ხელშია. სამივე რუსეთის და მისი ხელისუფლების ლანძღვა-გინების პერმანენტულ სტადიაშია. სამივე უმძიმეს ეკონომიკურ-საფინანსო კრიზისშია და, აქედან გამომდინარე, გაუსაძლის სოციალურ პირობებში. სამივე ქვეყანაში კატასტროფული დემოგრაფიული ვითარებაა – მოსახლეობის დიდი რაოდენობის გადინებით, მოკვდაობის შობადობაზე სიჭარბით.

სამივე მიისწრაფვის ნატოსკენ და ევროკავშირისკენ, მაგრამ სამივეს **"ღია კარის"** მიუხედავად, მყარად ჩარაზული კარი ხვდება. სამივე თვალში შესციცინებს დასავლეთს, განსაკუთრებით აშშ-ს და ცდილობს იქიდან წამოსული დირექტივები სწრაფად და პირნათლად შეასრულონ.

სამივესთვის ჩვეულებრივ ამბად არის ქცეული ერთსქესიანთა ქორწინება, ტელეეკრანებზე **"ცისფერთა"** კეკლუცობა, მსუბუქ ნარკოტიკებთან მიმართებაში ლიბერალური დამოკიდებულება, ტრადიციული ცხოვრებისთვის ზურგის შექცევა და **"წარმატებული"** თანამედროვეობისადმი გულმხურვალე მხარდაჭერა.

სამივეში ისეთი ვითარებაა შექმნილი, ამერიკელ პოლიტიკოს ალენ დალესს რომ გაახარებდა. სწორედ მისი დოქტრინის ზეობასთან გვაქვს საქმე და არა მარტო. როდესაც აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მკაცრად იტყვის: **"ვინც ლგბტ-ს, ერთნაირსქესიანთა ქორწინებას დაგმობს და ცისფერის შევიწროებას გაბედავს, ჩვენთან ექნება საქმეო"** – სახიფათო განცხადება არ არის, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული? ნიშნავს თუ არა ეს **"რბილი"** მეთოდი შობადობის შემცირებას?

დიახ! როგორც ჩანს, ამერიკულმა პოლიტიკურმა წრეებმა უკეთ იციან, რომ დედამიწას მზარდი მოსახლეობის გამოკვების თავი არ აქვს. და რახან სასმელი წყლისა და საკვების პრობლემები დგას, განა უკეთესი არ იქნება შობადობის დამუხრუჭება, უკვე დაბადებულისა და გაზრდილის განადგურება – შემუშავებული ფარული გეგმით მოსახლეობის გამოსახშირი ომებით, ხელოვნურად გამოყვანილი დაავადებებით, დაზიანებულ-მოწამლული სასოფლო-სამეურნეო მიწებით და ა.შ. ამ მოწოდებას სამივე ქვეყანამ, უფრო სწორად ხელისუფლებამ უმალ შემხვედრი გეგმა შეაგება და ისეთი ცხოვრება არგუნა საკუთარ ხალხს – მტერიც რომ ვერ ინატრებდა.

იმ ვაკხანალიის დამწყებს, რასაც სამივეგან აქვს ადგილი – ერთი სახელი აქვს – სააკაშვილი. ამერიკაში სწავლაგავლილი, ნატრენინგალი მიხეილი, პოლიტიკურად ჩამოყალიბებული და ვაშინგტონის მიერ მხარდაჭერილი, ხელწამოსაკრავი წვრილფეხა პოლიტიკოსი არ არის. ის მებრძოლია, მიმწოლი, ქარიზმატული, საკუთარი იდეების სხვაზე გადამდები. ხშირად ქართველი ე.წ. პოლიტიკოსები ამბობენ – სააკაშვილს რომ ამერიკა არ უჭერდეს მხარს, უმალ ჩაიფუშებოდაო. ვინც ამას ამბობს, ავიწყდება – თვითონაც არ იქნებოდა, აშშ-ი რომ არ ყოფილიყო.

აშშ-ს ნდობა რომ მოიპოვა, სწორედ ამაშია სააკაშვილის ნიჭი. თან ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ვაშინგტონ-სააკაშვილის ურთიერთდამოკიდებულება არ ხუნდება. და ალბათ არც გახუნდება, ვინაიდან ვაშინგტონი ისეთს, როგორიც სააკაშვილია, ვერსად იპოვის.

წამით დავფიქრდეთ და ვთქვათ – ვინ იქნებოდა ისეთი გულადი, ვინც ათასობით პოლიციელის რკალს გაარღვევდა და პარლამენტში შევარდებოდა; ვინ წამოიწყებდა ომს სამხედრო თვალსაზრისით მართლაცდა გოლიათ რუსეთთან; ვინ გახდებოდა ოდესის გუბერნატორი; ვინ გადალახავდა პოლონეთ-უკრაინის სახელმწიფო საზღვარს; ვინ ააბუნტებდა უკრაინელებს საკუთარი პრეზიდენტის წინააღმდეგ; ვინ ავარდებოდა სახურავზე და იქედან მოუწოდებდა ხალხს რევოლუციისკენ, პრეზიდენტის იმპიჩმენტისკენ; მანამდე კი, ვინ დაამყარებდა საერთაშორისო ტერორიზმთან მჭიდრო კავშირებს; ვინ ჩაიყვანდა სნაიპერებს კიევში 2014 წლის მაიდნის რევოლუციის მოსაწყობად?

ყოველივე აღნიშნულის და არ აღნიშნულის, თუმცა ნეგატიურის, ხალხში ჭორებად მოარულის შემოქმედი სააკაშვილია და რაც არ უნდა იძახოს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მდინარაძემ, სხვა „ოცნებელებმა": „მრცხვენია, რომ ეს ადამიანი ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი იყო"-ო, მის ავტორიტეტს ვაშინგტონში არაფერი დაემუქრება.

სააკაშვილი, სააკაშვილია. მას განუმეორებელი ხელწერა აქვს. ხელწერა მეამბოხის, ავანტიურისტის, შფოთისთვის, ამ სიტყვების შესაფერისი სხვა მრავალი სინონიმის. მაგრამ არა კაბინეტური მუშაკის, სახელმწიფო ქაღალდებში ჩაფლულის, პედანტურად 9 საათიდან 18 საათამდე მომუშავის.

სააკაშვილი არის ის, რასაც ვხედავთ – პოლიტიკოსი, აშშ-ს მეგობარი და მისი ნების წარმატებული შემსრულებელი.

**ჯ. ჯამლეტიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენ, ჩვენი უვიცობით ვქმნით ცოდვებს!

*მკვლევარის კუთხე*



კაცობრიობის ცივილიზაციის წარსულის ფონზე იქმნებოდა ცალკეულ ადამიანთა მიერ პროგრესული ცნობიერ-შემეცნებითი ინოვაციური სიახლეები, რომლებიც თავიანთი დადებითი იდეოლოგიურ-აზრობრივი თვალსაზრისით საზოგადოებისა და ხალხის სამსახურისთვის იყო განკუთვნილი.

წინააღმდეგი შემთხვევები და ყოფითი არსებობისთვის მიუღებელი ტენდენციები, დროის უმოკლეს ხანში თვითლიკვიდაციისა და განადგურებისთვის იყო განწირული, რისი საუკეთესო შემფასებელი ისტორია და მემატიანეა.

**„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.**

მაგრამ ვაი, რომ გენიოსი რუსთაველის შეგონება 800 (რვაასი) წლის შემდეგაც მრავალთათვის შეუცნობადვე რჩება.

რა უნდა ვუწოდოთ იმ ცნობიერებით მოსილ ადამიანებს, რომელნიც სახალხოდ სატელევიზიო არხით ხმამაღლა აცხადებენ თავიანთი უვიცობისა და სიბრიყვეს, რომ გენიოსი პოეტის, შოთა რუსთაველის გენიალური ზოგადსაკაცობრიო, სამყაროსეული მნიშვნელობის ნაწარმოებში **„ვეფხისტყაოსანში“** **„იესო ქრისტე“** არ არის ნახსენები და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ მათ არ ესმით ჭეშმარიტი ფუნდამენტალური მეცნიერული რელიგია, მათ არ იციან, რომ პოეტმა **„ვეფხისტყაოსნის“** სახით პოეტურ – ლირიკული ჟანრში აყვანილი ძველი და ახალი აღთქმა უსახსოვრა კაცობრიობას, რომ **„ვეფხისტყაოსნის“** პერსონაჟებში მოიაზრებიან ბიბლიური, ადეკვატური სახეები.

პირობითად: – როსტევან მეფეში იგულისხმება ღმრთის რჯული, მოძღვრება, ქართული მართლმადიდებლობა. ფრიდონში იგულისხმება **„ქამიტური“** – სვანურ-ქართული ენა. ავთანდილში იგულისხმება **„სემიტური“** კოლხური ენა. ტარიელში იგულისხმება **„იბერიული“** ქართული ენა. თინათინში იგულისხმება ძველი აღთქმა II რჯული. ნესტან-დარეჯანში იგულისხმება ახალი აღთქმა III რჯული. ფატმანში იგულისხმება ისლამი, მაჰმადიანური რელიგია, ყურანი. ასმათში იგულისხმება მარიამ ღმრთისმშობელი, ტარიელის მფარველი. ფარსადანი არის მოსეს სიმბოლური სახელი, სარიდანში იგულისხმება **„იესო ქრისტე“**. უსენი ნიშნავს პოლიტიკური სამყაროს ცრუ ენის მცოდნეს.

ქაჯეთის ციხეში იგულისხმება მსოფლიო მწვალებელი ათეისტ-კოსმოპოლიტიკა და ა.შ.

ხსენებული ჭეშმარიტებიდან გამომდინარე გენიოსმა რუსთაველმა, როგორც მთლიანად თავის ნაწარმოებში, ასევე ბოლოში გენიალურად ჩააქსოვა და ნათლად უჩვენა სამთა მეფის ძლიერების თანაფარდობა, სადაც ბრძანებს პოეტი:

**„ავთანდილ და ფრიდონ ჰკადრეს დედოფალსა მიმტკივნება,**

**ტარიელ თქვა: – დედოფალო გჯირს ამათი არ მეცნება,**

**ესენნია მხსნელნი ჩვენნი, აწ არა გვცალს გრძლად უბნება,**

**ამათგან გვაქვს ჩვენ ორთავეს სიცოცხლისა მოპოვნება!“**

ფრიდონმა – 8.000 (რვა ათასი) წლიანმა ქამიტურმა ეპოქამ და ავთანდილმა – 5.500 (ხუთი ათას ხუთასმა) სემიტურმა ეპოქამ **„ჰკადრეს მიმტკივნება დედოფალს“**, დედოფალში იგულისხმება მაცხოვარი **„იესო ქრისტეს“** III რჯულის ზოგადსაკაცობრიო საგანმანათლებლო პროგრამული სისტემა, რომელიც ჯერ არ დამდგარა. ტარიელი, ჯერჯერობით 2500 (ორი ათას ხუთასი) წლიანი იბერიული ეპოქა აცნობს დედოფალს **„ნესტან-დარეჯანს“** III-მე რჯულის საგანმანათლებლო სისტემის, მის წინაპრებს: ავთანდილს სემიტურ, კოლხურ ეპოქას და ფრიდონს ქამიტურ, სვანურ ეპოქას და ეუბნება ტარიელი – იბერიულ ეპოქა დედოფალს:

**„ამათგან გვაქვს ჩვენ ორთავეს სიცოცხლისა მოპოვნება“...**

ძმებო, ქართველებო, ამ ჭეშმარიტებიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ საქართველოში, კერძოდ კახეთში, (აღმოსავლეთ საქართველოში) მეტად პოპულარულია **„მამა-პაპათა“** სადიდებელი სადღეგრძელო, სადაც შვილიშვილი **„იბერიული“** ეპოქა უდიდესი მადლიერებით იხსენიებს **„წინაპრებს“**, მამას სემიტურ (კოლხურ) ეპოქას და პაპას ქამიტურ (სვანურ) ეპოქას.

– ჩვენს მამა-პაპათ გაუმარჯოს! – ამინ!

**„მათ სამთა გმირთა მნათობთა, სჭირთ ერთმანეთისა მონება“** (შ. რუსთაველი).

სამწუხაროდ ცნობიერი ღარიბების სიმდაბლეთა გამოაშკარავება შორს წაგვიყვანს, მაგრამ, ხსენებული ცნობიერის სიღარიბეს შეუძლია ზოგჯერ თაობათა შორის უდიდესი ტკივილის გამოწვევა.

რა უნდა ეწოდოს იმ ცნობიერებას, რომელიც თითქოსდა სწავლული ადამიანი, საქვეყნოდ ხმამაღლა აცხადებს დღემდე გაუგონარ უვიცობას, რომ ჩვენ ადამიანები ბიბლიური **„ადამის“** მოდგმისანი არ ვყოფილვართ.

აქვე მახსენდება ჩარლზ დარვინის **„მეცნიერული აღმოჩენა“ – „ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა“.**

პასუხი ასეთი იყო: – თუ ასე გნებავთ თქვენ იყავით მაიმუნის შთამომავალი, ხოლო ჩვენი წინაპარი მაიმუნი არ ყოფილა.

მსგავსი ადეკვატური პასუხი მინდა გავსცე იმ მეცნიერ-მკვლევარს, რომელმაც სახალხოდ განაცხადა, რომ ჩვენ ადამის მოდგმისანნი არ ვართო.

დიახ, ბატონო თქვენ გეტყობათ, რომ ადამის ჯიშისანი არ ხართ, მაგრამ ქართველი ერი და ზოგადად ცივილიზებული სამყარო ადამის შთამომავლობას აღიარებს.

სინამდვილეში ვინ არის ბიბლიური ადამი, მეცნიერულ რელიგიური თვალსაზრისით განვიხილოთ ძველი აღთქმის I თავი, **„დაბადება“.**

**– „შექმნა ღმერთმა კაცი, თავის ხატად შექმნა იგი, მამაკაცად და დედაკაცად შექმნა იგი“** (დაბ. 1.27.).

**„გაასრულა ღმერთმა მეექვსე დღეს თავისი საქმე, რაც გააკეთა, და დაისვენა მეშვიდე დღეს ყოველი საქმისაგან, რაც გააკეთა“** (დაბ. 2.2.).

**„ჯერ კიდევ მინდვრის ბუჩქიც არ იყო დედამიწაზე და არც ბალახიც, რადგან არ უწვნია უფალ ღმერთს დედამიწაზე და კაცი (ადამი) არ იყო, რომ მიწა დაემუშავებინა“** (დაბ. 2.5.).

**„გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვრისგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად“** (დაბ. 2.7.).

**„თქვა უფალმა ღმერთმა, აჰა, გახდა ადამი, როგორც ერთი ჩვენთაგანი, შემცნობი კეთილისა და ბოროტისა“** (დაბ. 3.22.).

გავუკეთოთ კომენტარი ხსენებულ ბიბლიურ ციტატებს. ნებისმიერმა ადამიანმა, ვისაც კი ბიბლია და სახარება გადაუშლია იცის, რომ უფალმა ღმერთმა ექვსი დღე მოანდომა სამყაროს შექმნას, ხოლო მეშვიდე დღეს მოისვენა.

უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა შევძლოთ გამიჯვნა თანმიმდევრობით 7 (შვიდი) დღისა, რომ მეექვსე დღის ბოლოს სამყარო შექმნილია მთელი თავისი **„ატრიბუტებით“,** ასევე არსებობენ განუსაზღვრელი რაოდენობის დედაკაცები და მამაკაცები, მაგრამ უმთავრესად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჯერ კიდევ მეექვსე დღის ბოლოს **„ადამი“** არ არსებობს.

სწორედ **„ადამში“** იგულისხმება კეთილისა და ბოროტის შემცნობი, ღმერთის ასლი და ხატი მიწიერი, ცნობიერად შემდგარი არსება ადამიანი, ხოლო ადამამდე არსებულ დედაკაცებსა და მამაკაცებში არ მოიპოვებოდა კეთილისა და ბოროტის განსაზღვრელი შემეცნებითი ცნობიერება, რადგან არ არსებობდა იმ დროისათვის დედამიწაზე არავითარი ზნეობრივ-შემეცნებითი პრიმიტიული საწყისები.

დედამიწიერი დედაკაცები და მამაკაცები მხოლოდ პირველყოფილ ადამიანთა ველურ-მომთაბარე ჯოგს წარმოადგენდნენ.

უნდა შევსძლოთ და ვიცოდეთ, რომ უფალ ღმერთის მიერ ადამის შექმნაში ნაგულისხმევია დედამიწაზე კაცობრიობის ცივილიზაციის საგანმანათლებლო სისტემის საფუძვლის საწყისები.

ამ ჭეშმარიტებიდან გამომდინარე ბიბლია ბრძანებს: – **„თქვა უფალმა ღმერთმა, გახდა ადამი, როგორც ერთი ჩვენთაგანი, შემცნობი კეთილისა და ბოროტისა“.**

დედამიწაზე ცივილიზაციის საგანმანათლებლო სისტემის საწყისი ფუძემდებლის პირველი განმანათლებლის საპროგრამო სისტემამ მსოფლიოში იარსება 930 (ცხრაას ოცდაათი) წელი, რასაც წიგნთა წიგნი **„ბიბლია“** ამტკიცებს.

**„სრული ხანი ადამისა, რაც იცოცხლა, იყო ცხრაას ოცდაათი წელი და მოკვდა“** (დაბ. 5.5).

აი, თუ რას ნიშნავს და ვინ არის ბიბლიური **„ადამი“,** სამყარო ცივილიზაციის საგანმანათლებლო ფონზე.

**„ჭეშმარიტებისათვის უმაღლესი ტრიუმფია, როცა მას მცირედნი, მაგრამ გონიერნი იზიარებენ, ყველასათვის მოსაწონად გახდომა მისი ხვედრი არ არის“.**

აქედან გამომდინარე, დედამიწაზე მოვლენილი ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია ეძიოს, ეზიაროს და ქადაგებდეს ჭეშმარიტებას, რასაც ჰქვია ღვთის მსახურება, ხოლო სხვა დანარჩენი ცოდვაა, ფუჭია და წარმავალი.

ამ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს ვურჩევ წაიკითხონ თანამედროვეობის უდიდესი თეოლოგისა და მკვლევარის, აწ გარდაცვლილი მ. ქართველის მეცნიერულ-რელიგიური ნაშრომები, რომელიც დაგეხმარებათ საკუთარი თავისა და ჩვენს გარშემო არსებული უსასრულო სამყაროს შეცნობაში, შეიტყობთ, თუ საიდან მოვედით, სად ვართ და სად უნდა წავიდეს ყოველივე დედამიწაზე არსებული და ა.შ.

**მურმან ხუბულავა**

# 5 000 მეცნიერის გაფრთხილება კაცობრიობას

ახალი საშინელი **“გაფრთხილება კაცობრიობას”** მსოფლიოს მასშტაბით 15 ათასმა მეცნიერმა დაწერა.

მეციერებმა ის გაფრთხილება განაახლეს, რომელიც 25 წლის წინ 1.700 ხელმოწერით შეშფოთებული მეცნიერების კავშირმა Union of Concerned Scientists გამოგზავნა. თუმცა, ექპერტებმა აღნიშნეს, რომ ვითარება გაცილებით რთულია, ვიდრე ეს 1992 წელს იყო და ყველა პრობლემა, რომელიც 25 წლის წინ იყო გამოვლენილი დღეს მარტივად რომ ვთქვათ გამწვავებულია.

კაცობრიობა კვლავ მოიხმარს განუახლებელ ბუნებრივ რესურსებს, ამას ისიც ემატება, რომ დედამიწის მოსახლეობა სულ უფრო მეტად იზრდება, რაც საბოლოო ჯამში ბუნებრივი რესურსების დეფიციტამდე მიგვიყვანს, მათი სრულად ჩანაცვლების ოპტიმალურ გამოსავალს კი მეცნიერებმა ამ დრომდე ვერ მიაგნეს. 15 ათასი მეცნიერის მიერ გამოგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ მეცნიერები, გავლენიანი მედიასაშუალებები და დედამიწის მოსახლეობა საკმარისს არ აკეთებს ამ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელად.

თუ მსოფლიო მყისიერ პასუხს არ გასცემს ბუნებრივი რესურსების მსგავსი ტემპებით მოხმარებას, ცოტა ხანში კატასტროფული ბიომრავალფეროვნების კრიზისის წინაშე აღმოვჩნდებით, – ნათქვამია გაფრთხილების წერილში.

25 წლის წინ გამოვლენილი პრობლემებიდან მხოლოდ ოზონის შრეში არსებული ხვრელი დავიწროვდა, რაც მეცნიერების თქმით, კარგი მაგალითია ერთობლივი და მიზანდასახული მუშაობისა. თუმცა, როგორც ჩანს, ყველა სხვა პრობლემები მოგვარების ნაცვლად კიდევ უფრო გამწვავდა და ექსპერტების თქმით, სულ ცოტა მანძილი დარჩა იმ წერტილამდე, საიდანაც გამოსავალი უბრალოდ აღარ იქნება.

**“ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებასა და მმართველობის დონეზეც უნდა გავიაზროთ რომ დედამიწა ჩვენი ერთადერთი სახლია”** – ნათქვამია წერილში.

მეცნიერებმა გამოგზავნილ გამაფრთხილებელ წერილში ხაზგასმით აღნიშნეს ის კატასტროფული ეკოლოგიური ვითარება, რომლის მოწმეები და შემოქმედნიც ჩვენ ვართ, მაგალითად კლიმატური ცვლილებები, მწვანე საფარის შემცირება, ცოცხალი ორგანიზმების მასობრივი გადაშენება, მტკნარ წყალთან წვდომის შემცირება და ოკეანეების **“მკვდარი ზონები”**.

მეცნიერების თქმით, ჩვენ საფრთხის წინაშე ვაყენებთ საკუთარ მომავალს, როდესაც არ ვზოგავთ ბუნებრივ რესურსებს, არ ვაკონტროლებთ მუდმივად მზარდ პოპულაციას, რაც პირველ რიგში იწვევს გამოუსწორებელ ეკოლოგიურ და სოციალურ საფრთხეებს.

ღია წერილის სახით დაწერილმა ნოტამ 184 ქვეყნის 15.364 მეცნიერის მხარდაჭერა დაიმსახურა, მათ საკუთარი მხარდაჭერა ხელმოწერით დაადასტურეს.

ექსპერტებმა იმედი გამოთქვეს, რომ მათი წერილი აქტიურ საჯარო დებატებს გამოიწვევს.

- ***წერილში აღნიშნულია, რომ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში სუფთა წყლის რაოდენობამ ერთ სულ მოსახლეზე 26%-ით იკლო.***
- ***ოკეანეში მკვდარი ზონის ფართობმა, სადაც ცოცხალი ორგანიზმების მინიმალურ რაოდენობას შეუძლია გადარჩეს დაბინძურებისა და ჟანგბადის უკმარისობის გამო 75%-ით გაიზარდა.***
- ***დაახლოებით 121 მილიონ ჰექტარზე მეტი ტყის საფარი დავკარგეთ, უმეტეს შემთხვევაში კომერციული ჭრებისა და მიწათმოქმედებისთვის ტერიტორიის გამოთავისუფლების მიზნით.***
- ***საშუალო ტემპერატურა და ნახშირორჟანგის რაოდენობა პერმანენტულ ზრდას განაგრძობს.***
- ***დედამიწის მოსახლეობა 35%-ით გაიზარდა.***
- ***ძუძუმწოვრების, რეპტილიების, ამფიბიების, ფრინველებისა და თევზების ჯამურმა რაოდენობამ 29%-ით იკლო.***

მეცნიერები მსოფლიო მოსახლეობას და სხვა პასუხისმგებელ პირებს სწრაფი მოქმედებისკენ მოუწოდებენ. დრო ძალიან ცოტაა – გვაფრთხილებენ ექსპერტები.

**ინტერნეტსაიტი ამბები.ge**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო სამხიარულო კუთხე

## ქუთათურების სახელით ახალ წელს გვილოცავს ბატონი ალექსანდრე შენგელია

*„სათრევლები“ უკრაინიდან გადმორეკილ ნათრევებზე*

„ფალავანი ფალავანსა ორჯერ დასცემს, გაუშვებსა, თუ მესამედ წააქცია, ცოცხალს აღარ გაუშვებსა!“ – ოდითგან გვასწავლიდა ჩვენი უბრძნესი ხალხი, და მესამედ წაქცევაში „ბერიკაობითა“ და მისი მონათესავე სახალხო სანახაობებით აბეზარა მოწინააღმდეგის სიცილით მოკვდინებასაც გულისხმობდა. ჰოდა, ვიბერიკაოთ და ვიცინოთ, რამეთუ საქართველოსა და უკრაინაში ორჯერ ბეჭებზე გაკრული მიხო თავისი სულელური ხუშტურებით დღემდე თავს გვაბეზრებს!

უღრმესი პატივისცემით, ალ.შენგელია

### ბესთი გაუქმდა, ბასტა!

რამდენიმე მონასმი, რომელმაც ფურცლებზე სისხლ და ცრემლშეუშრალი სიცილით გადაიტანა ჩვენს თვალწინ დატრიალებული კოშმარი

მიხვდნენ, საქმე ჰქონდათ რასთან,
ჰოდა, ბასტა! უკვე ბასტა!
უკრაინამ ჩვენთან დასტად
გადმორეკა მიხოს კასტა.
ვერ ასცდება მათ ბედს მიხო,
ბიზნესკლასის ციხე იხმობს
„მატროსოვზე“ მარტოსულად,
ნაოდესარს – „მატროსულად“!

### როგორ მოხდა?

*უკრაინელებმა ბოლოსდაბოლოს გაიხსენეს ყვარყვარე და კვაჭი და ამიტომ აღარ გასჭირვებიათ, დაერღვიათ ბესთი, ანუ ხელუხლებლობის თავშესაფარი მაშინვე, როგორც კი მიხვდნენ, თუ ვისი დავალებით შეიქმნა „გაუკრაინებულ“ სააკიან-სააკოვ-სააკაშვილის ვარიაგულ-კიევური სიმბიოზი და რატომ ეცვა სამლიქვნელო პერანგი, როცა მოისურვა, მავანთა მოთხოვნით „კიევიდან გალიჩამდე მთელი ქვეყანა გადაეთქერა“.**

**საუბარია პან დანილოს მკვლელზე... (ნ. გოგოლი. „საზარელი შურისძიება“)*

### „პოტიომკინის“ პერანგი

არაქართულ გენითა და
დაგეშილი ვერაგებით,
უკრაინულ ენითა და
„უკრაინკა“ პერანგებით,
სურს, რომ ხალხი გადარიოს,
(ასე ჩვენშიც უკლავს იმას!),
ვისაც უნდა, პან დანილოს
სისხლით მორწყას უკრაინა!

### რატომ მოიტყუა თავი, რად ახარებდა უკრაინა სხვის ჭიას? – გვიკვირდა და ვკითხულობდით

„მაიდანზე“ გაჭრილს
ცერცვად რომ შეგაყარეს,
მიხო, ანუ კვაჭი
და ასობით ყვარყვარე,
უკრაინავ,
რა გჭირს,
სხვის ჭიას რად ახარებ?

### ვაფრთხილებდით

ყვარყვარეს და კვაჭის ნაჯვარს
რადგან ახლავს ხალხის ტანჯვა,
აღარ უნდა ეხარა შინ
და არც მოძმე ქვეყანაში,
„ნაცები“ რომ შეყარა შიგ!

### განვუმარტავდით

არ იფიქრო, უკრაინა მიშასია,
ორი „ბიძა“ რომ თამაშობს, იმ შანსშია
და სახელით ემატება იმ შავ სიას,
ვინც „ცოცხოსნის“ აჟურსა და ნიშანშია!

### არა გჯერა?

აგერ ის და აგერ ტურა,
მიხობიჭი და იმისი აგენტურა!

### შევახსენებდით, ვინ ჰყავდა ამქარში

ის, რაც მოხდა, განა ფარდის უკან არის,
ყველამ ვნახეთ, გეწაძემ რომ უკანალით
მოათავსა ბოთლში „პასტა“...
და რქუა: „ბასტა“!
ხიხო-მიხოს უყვარს მსგავსი ქაჯობია,
სხვა რა გზა აქვს?
რქიანისთვის რქა სჯობია!
მას შემდეგ, რაც უკრაინის ლეწვაზეა,
„ფიურერის“ გვერდით გია გეწაძეა,
ნაცბაცანა ნამგლევი და ნატურალი,
ბოთლზე მჯდომი და ნაგუბერნატორალი!
პამპულაა, ისეთი, რომ,
ვამბობთ: „მტრისას!“
მიტომ დასვა
მოადგილედ მინისტრისა!
რას უპირებს უკრაინას?
სწორედ იმას, ზუსტად იმას,
რაც ქუთაისს უქნა წინათ:
უკანალით მოათავსებს ბოთლში
„პასტას“
და კიევშიც იტყვის: „ბასტას!“

### რა მიაწერა რედაქტორმა „სათრეველას“, რომელიც ოდესიდან მიხოს გამოპანღურების წინადღეს ითქვა?

რკოთი გამძღარი ღორის არ იყოს,
მუხის ფესვებს რომ დაუწყო დაღრღნა,
ნუ გავიკვირვებთ, ბედმა გარიყოს
და წარიტაცოს შავი ზღვის ტალღამ.
უკვე ახლოა ჟამი, როდესაც
ჭიტლაყს ამოკრავს მთელი ოდესა...

მინაწერი: „ამ ლექსის დაწერიდან მეორე დღეს მიშას ოდესიდანაც ამოკრეს ჭიტლაყი“. როლანდ ჯალაღანია, გაზეთი „ილორი“. 2016 წლის 15 ნოემბერი

### იპოლიტესეული ქუჩარა და მიხოსნები

დაფშვნილ ტაროს ნაქურჩალა
აკო, ანი, გიგი, დათო,
წუხან, რადგან თქვა ქუჩარამ:
– გაა-კოჭი-ლი მიყაა-ვ-და-თო!
ინკვიზიტორ მკვლელთა ნაგრამს
ჩამოემხე თავზე, ცაო!
ყოყლოჩინად რჩება, მაგრამ
ცხვირი ვერ მოიხოცაო.

### გარდაუვალის გარდუვალობა

დრო კალაპოტში მიედინება
და რომ დაწდება მღვრიე დინება
აღარ დარჩება, როგორც დილემა
სოროსელ მიხოს ექსტრადირება!

### ბოლოთქმა

ბევრი ამოგვიხოცა,
მაგრამ თუ წარიხოცა,
თბილისში წარიხოცა,
კიევში წარიხოცა,
ეს ჩავთვალოთ მილოცვად,
რომ ნათელი იყოს ცა!

### კიევური შოუ

პამპულაი შეიკაზმა
ხის ცხენით და ჯინჯილითა
და მაშინვე მისმა რაზმმა
კრეშჩატიკზე იჯირითა.
უჩვეულო შოუ დადგა,
იქნევს ორპირ იატაგანს,
რადგან „ჩაჩქნად“ თავზე ადგას,
ვინც მფარველობს იანკთაგან.
მისთვის ხატავს ვნებააშლით
ყოფილ ძმობილს პაპუასად,
აბა, ტაში. ფაყვე ტაში
პლეხანოველ პამპულასა!

### მკვდარი აქცია

6 დეკემბერს თბილისში გამართული „ღირსების აქცია“, რომელიც გვაგონებს ქუთაისზე დამიზნებულ ქვემეხს აკაკი გეეწაძის რომანიდან „არ მოკვდე სიკვდილამდე!“

ხალხით ვეღარ ივსებით და
გაგეცალათ უკვე ღდინი,
უღირსობის „ღირსებით“ და
დაბრუნების მოლოდინით.
აქციისას უაზროდ გზა
რომ განლიეთ, რა გსურთ, გეთქვათ?
ის ხომ არა, სასროლად მზა
ქვემეხი რომ აგიფეთქდათ?
თქვენეული ღრენის მარშით
აღარავინ გელით არსად
ბოკუჩავას, უდუმაშვილს,
გოციკას და მელიასა

### სავარაუდო დიაგნოზი

სამართლის ნორმებს დაცილებული და სახურავზე დაცურებული, პრანჭია,

ზუსტად ნარცისებურად,
ვისაც ეცვა და ვისაც ეხურა,
მხოლოდ მეფურად, განა გლეხურად,
იცით, თუ რატომ გაცივებულა?
რაკი მიქარა მისაქარავი
და ვეღარ იცავს მისი კარავი,
ვერც ვერაფერი, იქ რაც ებურა, –
სოროს დაეძებს ნაცის-ე-ბუ-რად!(?!)

*ალექსანდრე შენგელია,*
*თბილისელ-ქუთაისელი*

# მარგალური ფოლკლორი – მეგრული ფოლკლორი



ნოკო ხურცია დაიბადა სენაკის მახლობლად მდებარე სოფელ ბათარიაში (ამჟამად – მენჯში). მამამისის ალექსანდრე ხურციას ოჯახში ხშირად ისმოდა ხალხური სიმღერები. მრავალრიცხოვან ოჯახში ყველა მღეროდა და უკრავდა ჩონგურზე და დაირაზე. ამ ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ცნობილი ქართველი ლოტბარები: ძუკუ ლოლუა, რემა შელეგია, სამუელ ჩავლეიშვილი. ასე რომ, პატარა ნოკოს გამორჩეულ ხმასთან ერთად ბავშვობიდანვე დაჰყვა სიმღერის სიყვარული. იგი გატაცებით მონაწილეობდა ახალგაზრდა გოგო-ბიჭების სიმღერა-თამაშში – **„ალეგრებში“**, რომელსაც ხშირად ნოკოს მამიდა ძაძუ უძღვებოდა.

საუბედუროდ, ნოკოს მამა ადრეულად გარდაეცვალა და ოჯახის ჭაპანი დედასთან, პარასკევა ლაშქარავასთან და უფროს ძმასთან ერთად ნოკოსაც დააწვა მხარზე. ამასთან, ნოკომ მენჯის ოთწლიანი დაწყებითი სკოლაც წარმატებით დაამთავრა და საშუალო სკოლაშიც შორი გზის მიუხედავად ხალისით დადიოდა. აქ მან სამსახიობო და რეჟისორული ნიჭიც გამოავლინა – დგამდა კონცერტებს, წარმოდგენებს. საბედნიეროდ ნოკოს ადრევე გამოუჩნდა მუსიკის კარგი მასწავლებელი – ვალერიან გეგეჭკორი.

16 წლის ნოკომ სენაკში ცნობილ ლოტბარ რემა შელეგიას მიაკითხა, რომელმაც იგი დაუყოვნებლად ჩარიცხა თავის გუნდში, სადაც ნოკო მალე წამყვანი სოლისტი გახდა.

სკოლის დამთავრების შემდეგ ნოკო ხურცია გაგრაში მიდის სამუშაოდ, სადაც თავად აყალიბებს მომღერალთა გუნდს. მალე ნოკო თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტი ხდება, III კურსიდან კი – სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ბიოტექნიკის ფაკულტეტზე განაგრძობს სწავლას. ორივე ამ სასწავლებელში მომღერალთა გუნდებს ხელმძღვანელობს. პარალელურად პროფკავშირების გუნდში მღერის კორნელი მაღრაძესთან. გარდა მშობლიური მეგრული სიმღერებისა, იგი ითვისებს კახურ, ქართლურ, თიანურ სიმღერებს, ამასთან – უშუალოდ სოფლებში, ხალხური მომღერლებისგან.

1925 წლიდან ნოკო ხურცია კირილე პაჭკორიას ხელმძღვანელობით დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ გუნდშია, სადაც მალე ასევე წამყვანი სოლისტი ხდება. მან ამ გუნდთან ერთად ტრიუმფით მოიარა მოსკოვი, ლენინგრადი ბაქო, როსტოვი, ხარკოვი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნოკო ხურციას, როგორც სოლისტის, გამორჩეული წარმატება მოსკოვში 1937 წელს ქართული ხელოვნების დეკადაზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ნოკო ხურცია 5-6 წელი სენაკის (იმდროინდელი ცხაკაიას) ერთ-ერთი მეურნეობის მთავარ აგრონომად, ხოლო შემდეგ – დირექტორად ნიშნავენ. მაგრამ საყვარელი საქმიანობა – სიმღერა თავისას ითხოვს და ნოკოც თავს ანებებს სამეურნეო საქმიანობას. 1937 წლიდან ნოკო ხურცია საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ლოტბარ კირილე პაჭკორიას მოადგილეა. მისი სალოტბარო მოღვაწეობა 1938 წლიდან აქტიურად გრძელდება. ნოკო ხურცია დადის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში – ჭიათურაში, აბაშაში, საგარეჯოს, ხობის, მარტვილის, სამტრედიის, ფოთის რაიონებში და კონსულტაციას უწევს ადგილობრივ გუნდებს. ამავე პერიოდში იგი რემა შელეგიასაც ეხმარება საქართველოს კოლმეურნეთა ეთნოგრაფიული ნაკრები გუნდის გაძღოლაში.

1939-41 წლებში ნოკო ხურცია აბაშის გუნდს ხელმძღვანელობს, რომელსაც ადრე ცნობილი ლოტბარი ლომინ გუგუშვილი მეთაურობდა. ამ გუნდმა მოსკოვში რამდენიმე სიმღერაც ჩაწერა გრამფირფიტაზე, მათგან ორი – საფრანგეთის რადიოსთვის იყო განკუთვნილი.

ნოკო ხურციამ მრავალი მეგრული სიმღერა აღადგინა და დაამუშავა. მათ შორისაა: **„უტუს ლაშქრული“**, **„ოდოიას“** უცნობი ვარიანტი, **„ჰარირა“** და სხვები. ისევე, როგორც სხვა მის თანამედროვე ლოტბარებს, დროისა და ხელმძღვანელი პირების დავალებით, ნოკო ხურციასაც აქვს შექმნილი აქვს ხალხური სტილის საბჭოური თემატიკის სიმღერები: **„სიმღერა შრომის გმირებზე“**, **„სიმღერა სამშობლოზე“**, **„სიმღერა კოლხიდაზე“** და სხვა.

1941 წლიდან, ფაშისტურ გერმანიასთან ომის პერიოდში ნოკო ხურცია მრავალ კონცერტს ატარებს ჰოსპიტლებში, სამხედრო ნაწილებში; ომის დამთავრების შემდეგ ნოკო კვლავ სახელმწიფო ანსამბლში მოღვაწეობს. ამავე დროს ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თვითმოქმედ კოლექტივს, რომელმაც 1949 წელს უმაღლეს საწავლებლების ოლიმპიადაზე I ადგილი მოიპოვა.

მაგრამ ამ დროს ნოკო ხურციას უკვე შეპარვოდა უკურნებელი სენი. ამავე წლის 26 ნოემბერს 44 წლის ასაკში ნოკო ხურცია გარდაიცვალა. მის დაკრძალვაზე მეგობრებმა ნოკოს ერთი სიმღერა ისე იმღერეს, რომ არ დაუმთავრებიათ.

ნოკო ხურცია იშვიათ სიყვარულსა და მონდომებას ამჟღავნებდა ახალგაზრდა თაობის აღზრდისას. არ იზარებდა იმ მომღერალთა სწავლებას, რომელნიც ძნელად ულებდნენ ალღოს ახალ სიმღერას. იგი დიდი ერუდიციის პიროვნება იყო.

ნოკო ხურციას ულამაზესი ხმა მრავალი სახელოვანი მუსიკოსი აღფრთოვანებულა. **„საუკუნის მომღერალი“**, **„ქართული სიმღერის ჯადოქარი“**, **„ჩვენი ჭალების მაფშალია“** (მეგრულად – ბულბული) აი, ის ეპითეტები, რომელიც ნოკო ხურციამ დაისაკუთრა. ცნობილი ქართველი მწერლის ნოდარ დუმბაძის სიტყვებით: **„ღმერთებს ნოკო ხელში აყვანილი ჰყავდათ და ჩვენს სასიხარულოდ საქართველოში ჩამოუვარდათ”.**

ქართული ბიბლიოთეკა

# მერაბ კოსტავას პოეზია

მიქაელ მოდრეკილის ჰიმნების მიხედვით, მარიამ ღვთისმშობელი არის „დავითის მიერ მთად პოხილად“, „საცნაურ მთად“, „გამოუკვეთელ მთად“ მოხსენებული (12,43,383).

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ მარიამს ეწოდება „მთა, ლოდის გამომტყორცნელი“ (13, 379).

ლექსში „ღირს მამა დავითს“ (1,104,109) გვხვდება „მთა პოხილი, მთა მეტყველი, მთა საკვირველი“, მაგრამ ეს სახეები მიემართება მთაწმინდას.

ყვავილი (აქ ცეცხლის ყვავილი) საღმრთო სახელად ფიქსირდება სოლომონის „ქებათა ქებაში: „ყვავილები გაჩნდნენ მიწის პირზე, ჟამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“. (2,12)(4,15).

საღმრთო სახეებია ცეცხლი და ელვა.

ღმერთი ცეცხლის სახით გამოეცხადა მოსეს, ცეცხლი ეკიდა მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვოდა მაყვლის ბუჩქი (გამოსვლა, 3,1,2,3). აქ ცეცხლი მიიჩნევა ქრისტეს მეტაფორად.

უფლის დიდება გაიგივებულია მოგიზგიზე ცეცხლთან: „გამოჩნდა უფლის დიდება მოგიზგიზე ცეცხლივით ისრაელიანთა თვალწინ“ (გამოსვლა, 23,17)(14,81).

სახარებაში ქრისტეს მოსვლა შედარებულია ელვის გამონათებასთან: „ვინაიდან, როგორც ელვა გამოდის აღმოსავლეთიდან და თვით დასავლეთამდე ანათებს, ასევე იქნება კაცის ძის მოსვლაც (მათე, 24,27)(7,54).

კარი საღვთო სახელია: „მე ვარ კარი: ვინც შედის ჩემით, გადარჩება“ (იოანე, 10,9,)(7,201).

მერაბ კოსტავას ლექსში მარიამ ღვთისმშობლის სახელებად გვევლინება „ნუგეშის და“, ია.

„უბიწო ია“ მარიამ ღვთისმშობლის სახელად ფიგურირებს ვახტანგ მეეძვსეს პოეზიაში (15,45).

მერაბ კოსტავას ლექსის ღვთისმშობელი ცრემლიანი იაა, როგორც ჯვარცმისას ძის მაყურებელი დედა შეიძლება იყოს. „და“ მიმანიშნებელია მარიამ ღვთისმშობელზე. მისი პირველადი წყაროა ქებათა ქება „ბაღი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი“ (ქებათა ქება: სოლომონისა 1,12)(4,16).

მერაბ კოსტავას ლექსში „დის“ მსაზღვრელია „ნუგეში“, რაც ამ სახეს ორიგინალურ ელფერს ანიჭებს. ნუგეში, ნუგეშისმცემელი ღმერთს სახელიც არის. (ესაია წინასწარმეტყველი, 51,12)(4,112).

ახალ აღთქმაში მამა ღმერთს ეწოდება „მოწყალების მამა“ და „ნუგეშის ღმერთი“: „კურთხეულია ღმერთი და მამა ჩვენი უფლის იესო ქრისტესი, მოწყალების მამა და ყოველი ნუგეშის ღმერთი“, (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 1,3)(7,384).

პოეტს აძრწუნებს უსაყდროდ ყოფნის წარმოდგენა. საყდარი არის მარიამ ღვთისმშობლის სახელი. „დაუჯდომლის“ მიხედვით, მარიამი არის „საყდარ მეუფისა“ (3,9).

სხვაგან მარიამ ღვთისმშობლისა და ძე ღმერთის სხვა სახელები იქცევს ყურადღებას: „ჭეშმარიტების მიჯნურთა მწდეო, ბჭეთა დახშულთა ლოცვავ ფარულო, მარადი მამის მარადო ძეო, რწმენავ, იმედო და სიყვარულო“ (შენ გევედრები სულით გლახაკი) (1,25-27).

ძე ღმერთის სახელებია: ჭეშმარიტება, მარადი ძე, იმედი, სიყვარული. გავიხსენოთ ამ სახეთა წყაროები.

„... ჭეშმარიტებაა ღმერთი, არაა სიცრუე, მართალი და წრფელია იგი“ (II რჯული 32,4)(14,209).

„კურთხეულია ღმერთი ჭეშმარიტებისა“ (II ეზრა 4,40)(4,480).

„შენა ხარ ჩემი იმედი, უფალო, ჩემი სასო“ (ფს. 71,5)(7,595).

„ვისაც არ უყვარს, მას არ შეუცვნია ღმერთი, ვინაიდან ღმერთი სიყვარულია“ (I იოანე, 7,8)(4,320).

მარიამის სიმბოლოა „ბჭე დახშული“, მისი წინარე სახეა „დაუჯდომლის“ „ბჭე ცხოვრებისა“: „გიხაროდენ ბჭეო ცხოვრებისაო“ (3,12) აქვე მარიამი არის „სამოთხის ბჭეთა გამღებელი“ (3,10).

მერაბ კოსტავასთვის ღვთაებრივი სიმბოლოებია: „დედა მარიამი, ქეთევანი, თამარი“ (სულში ჩაგეღვენთოს).

ცამეტი ასურელი მამის, მამა დავითის ღვაწლით დამარცხდა „ბილწი დრაკონი“ და „თბილისს ცაზე აღებეჭდა ღვთისმშობლის ღიმი“.

ცნობილია, ემბაზი მარიამღვთისმშობლის სახელია „დაუჯდომლის“ მიხედვით (3,12).

მერაბ კოსტავას ლექსში „მთა პოხილი, მთა მეტყველი, მთა საკვირველი“. (მთა საღვთისმშობელო სახელია) არის მთაწმინდა, რომელსაც „პოეზიის წმინდა ემბაზს“ უწოდებს პოეტი.

ლექსში „თეთრი ქალწული“ (1,42-46) მარიამი გვევლინება „ნუგეშის სვეტად, რომელსაც მოჰყვება განწმენდა, შენდობა: „ნუგეშის სვეტად გადმოდგა თითქოს, ფერი განწმენდის, ფერი შენდობის, შენდობა შენდა, ქალწულო ფიფქო,... მწუხრი მშვიდობის, მწუხრი მშვიდობის“.

გალაკტიონის პოეზიაში მარიამ ღვთისმშობელი ფიგურირებს, როგორც „ჯვარზე გაკრული ელვა – პოეტის და: „ჯვარზე გაკრული ელვა, ეს ჩემი დაა ლურჯი“ („საღამო“)(16,38).

ტერენტი გრანელს ღვთისმშობელი უდაბნოში ევლინებოდა, როგორც მწუხარე დის ცისფერი ლანდი, (მე და გაფითრება).

მერაბ კოსტავას „ნუგეშის და“ და „ნუგეშის სვეტი“ შთაგონებულია საღვთო შინაარსის ნუგეშით.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ კოსტავას ლირიკაში ფიქსირებული ჩვენი ზეციური დედის კანონიკური და ორიგინალური სახისმეტყველება თავისუფლად უსწორებს მხარს ქართული კლასიკური პოეზიის ნიმუშებს.

ისევ მთლიანობაში გადავავლოთ ამ სახეებს თავი. მარიამ ღვთისმშობლის სახელებია: „ხელთუმტკიცესი ბეჭედი“, „ანგელოზის ფრთა“, „დაჭკნობელი ყვავილი“, „ქალწულის კდემა“, „აღურაცხელი მადლი“, „ცის სასუფეველი“, ადამის მოდგმის მხსნელი, ნუგეში, უკვდავი სიტყვის მშობელი, ღმრთისა სძალ-დედოფალი, ძველი მიწის განმაახლებელი, სიწმინდე შეუვალი, დაუსაბამო ნათლის ცისკარი, სწრაფშესმენითა მადლის მგებელი, უბიწო, შეუგინებელი, სულიწმინდის თვალი, ადამის მოდგმის გაისი. ცისკენ ხიდის გამგები, სერაბინთ უზეშთაესი, შუამდგომელი, ღრუბელთა კოშკის ასული, თვალი პატიოსნების, ნუგეშის სვეტი, ნუგეშის და, ქალწული ფიფქი, საწმისი, ბარძიმი, მთა, საყდარი, ია, ცრემლიანი ია, ბჭე დახშული.

## გრაალის იდეალი

ორგვარ სიბრძნეს განარჩევენ ბიბლიაში: მიწიერს, ხორციელს და ღვთის სიბრძნეს (ბარუქი, 3,23) (1,190) ეშმაკეულ სიბრძნეს და მაღლით გარდმოვლენილს.

პავლე მოციქული აცხადებდა: “...ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე, როგორც წესია: „მათ ცბიერებაში შეიპყრობს ბრძენებს”. სულიწმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული მოგვიწოდებდა, შეგვეცნო „ღვთის სიბრძნე, საიდუმლოებაში დაფარული”.

წმინდა მამა განასხვავებდა „ხორციელ გონებას” და „ღვთის მადლს”. პავლე მოციქულისთვის მიუღებელი იყო „ფუჭი ამპარტავნობა ხორციელი გონებით”. მისი იდეალი იყო სულიერი გონება, ღვთის სიბრძნე: „ვლოცულობთ თქვენთვის, რათა აღივსოთ მისი ნების შეცნობით, ყოველნაირი სიბრძნითა და სულიერი გონებით”.

უზენაესის შესაცნობად საჭიროა „სიბრძნისა და გამოცხადების სული:” „...ვლოცულობთ, ...რათა მოგცეთ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად”. ნეტარი ავგუსტინე განასხვავებდა ზერელე „სწავლას” და „შემეცნებას”, კიცხავდა „ხორციელ სიბრძნისმეტყველებას” და მას უწოდებდა „სხეულებრივი გრძნობების უძლურებას”.

აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ „კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია, ეროვნულ-ნაციონალურია და ამდენად, საკაცობრიო, ცივილიზაცია-არარელიგიურია, ინტერნაციონალური.

ნამდვილი მწერლობა ყოველთვის რელიგიური იყო და მისი ორიენტირი იყო ღვთის სიბრძნე.

ათეისტური ტირანიით ცნობილ მეოცე საუკუნეშიც იყვნენ ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატები, რომელთაც კავშირი არ გაუწყვეტიათ რწმენასთან, სულიერებასთან, მარადიულ იდეალებთან. ამ მხრივ, განსაკუთრებული ინტერესი ვლინდება გრაალის პრობლემისადმი.

გრაალი ქრისტეს სისხლის, ანუ უკვდავების სასმელის შემცველი წმინდა თასია.

უკვდავების ძიება კაცობრიობის მარადიული იდეალია, ამიტომ ყველა ქვეყანაში არსებობს გრაალის იდენტური საკრალური, დაფარული საგანი. ასეთია უკვდავების სასმელი „სომა” ინდოეთში, ირანული ტრადიციით – „ჰაომა”. ეს სასმელი, სათანადოდ შემზადებული, ადამიანს აღუდგენდა მარადისობის განცდას.

წმინდა გრაალი ის თასია, რომელიც საიდუმლო სერობაზე ქრისტეს ეპყრა ხელთ და რომელიც შემდგომ იოსებ არიმათიელმა (ქრისტეს ფარულმა მოწაფემ) ქრისტეს ფერდში ასისთავ ლონგინუსის შუბით გახსნილი ჭრილობიდან გადმომსკდარი სისხლით აავსო.

ლეგენდის მიხედვით, თასი ბრიტანეთში წაიღეს თვით იოსებ არიმათიელმა და ნიკოდემოსმა. ეს კელტურ და ქრისტიანულ კულტურებს შორის კავშირის გაბმას მოასწავებდა.

თასი ანგელოზებს გამოუთლიათ იმ ზურმუხტისაგან, რომელიც ლუციფერს გადმოუვარდა შუბლიდან მისი დაცემისას. ეს ზურმუხტი გვაგონებს ურნას, შუბლის მარგალიტს, რომელიც ინდურ ტრადიციაში ძალიან ხშირად შივას „მესამე თვალის” ადგილს იკავებს და მარადისობის განცდას ანიჭებს.

ლეგენდაში ისიც ნათქვამია, რომ გრაალი ადამს ჩაბარდა მიწიერ სამოთხეში, მაგრამ დაცემისას დაკარგა იგი სამოთხიდან განდევნილმა, რადგან ზეადამიანურ მდგომარეობას ცოდვილნი ვერ ეზიარებიან.

შემდეგ შეთმა (სეთი, ადამ და ევას ძე კაენისა და აბელის შემდეგ) სამოთხეში შესვლის უფლება მიიღო და დაიბრუნა თასი. მას თავის მიმდევრებთან ერთად უნდა დაეარსებინა სულიერი ცენტრი, დაკარგული სამოთხის ხატი და შემცვლელი.

ცნობილი არ არის, სად და ვინ შემოინახა გრაალი ქრისტეს ეპოქამდე. გრაალი იკარგება ან იფარება, როცა ის უშუალო კავშირს წყვეტს უზენაეს ცენტრთან. ავგუსტინეს მიხედვით, წარღვნა ვერ მისწვდა მიწიერ სამოთხეს, რომელიც არის „ენოქის სამკვიდრებელი და წმინდა მიწა”. მისი თხემი „მთვარის სფეროს ეხება”, ე.ი. ცვალებადობის მიღმაა, ცისა და მიწის გადაკვეთის წერტილში. მაგრამ როცა შესუსტებულია რწმენა, იგი დახურულ ცენტრებში ინახება. „გრაალ” სიტყვას ორმაგი მნიშვნელობა აქვს. გრაალი თასიც არის და წიგნიც. ეს უკანასკნელი ასპექტი ცხადლივ აღნიშნავს ტრადიციას, ხოლო პირველი უფრო მდგომარეობის აღმნიშვნელია.

სულიერ ცენტრებს განუყრელად უკავშირდება მრგვალი მაგიდა, მის ირგვლივ შემოკრებული თორმეტი პერსონაჟით. ეს მაგიდა განკუთვნილია გრაალის მისაღებად(5,10).

გრაალს უკავშირდება მონსალვატის „მთა ხსნისა”, სიმბოლო მწვერვალისა, რომელიც მდებარეობს „შორეულ ნაპირზე”, მოკვდავთაგან რომ ვერავინ მიუახლოვდება. იგი „მიუწვდომელ მხარეში”, შუაგულ ზღვაშია აღმართული, რომლის უკან მზე ამოდის. ეს წმინდა კუნძულიც არის და „პოლარული მთაც.” ეს არის უკვდავების მიწაც, რომელიც მიწიერ სამოთხესთან უნდა გავაიგივოთ.

გრაალის უპირველესი მნიშვნელობა არსებითად ემთხვევა საკრალური თასის ზოგად მნიშვნელობას. აღმოსავლეთში სამსხვერპლო თასი შეიცავდა უკვდავების სასმელს: ვედური ტრადიციით – სომას, ხოლო მაზდეანურით – ჰაომას.

თასის დაკარგვა მოასწავებს არა იმდენად ნივთიერი დოვლათის დაკარგვას, არამედ ტრადიციის შებღალვას. და იგი კვლავ ზებუნებივი ჩარევით უნდა აღდგეს. თასი უნდა გამოჩნდეს კვლავ ზეციდან მაღალ მთაზე, ან აღმოჩნდეს გამოქვაბულში, ან მიწაში ჩამარხულს უნდა წამოედოს სახნისის პირი. ასეთ ანდრეზებში თასი ჭეშმარიტებისა და წმინდა რეალობის ნივთიერი გამოხატულებაა და მისი ორმაგი ადგილმდებარეობა – ცაში და მიწაში – ჭეშმარიტების „ხილვადობისა” და „შებურვილობის” პერიოდებზე მიუთითებს. “და თუ ანდრეზის საკრალური შინაარსი ასაღორძინებელია ცნობიერებაში, მისი აღორძინება კვლავ სიწმინდის წიაღშია შესაძლებელი” (იქვე).

რენე გენონის ნააზრევში განსაკუთრებით საყურადღებოა თასისა და წიგნის იდენტურობის დაშვება.

ხოლო მოციქულთა რიცხვის თანაზიარი თორმეტი რაინდი, მრგვალი მაგიდის გარშემო რომ არიან შემოკრებილი და ზნეობრივ სრულყოფას ესწრაფვიან, სხვა რა უნდა იყოს, თუ არა ეკლესია, რომელთა მინიმალური რიცხვი თორმეტია „მოციქულთა დადგენილებების” (V) თანახმად, კრებული მორწმუნეთა ბარძიმ-ფეშხუმის მოლოდინში, რომელსაც მათ წინაშე საფარველი (დაფარნა) უნდა აეხადოს, რომ სათითაოდ ეზიარონ „უხრწნელთა და ცხოველმყოფელთა საიდუმლოთა.”

ზურაბ კიკნაძე არ ეთანხმება თასის ფშავ-ხევსურულ ანდრეზებში გრაალის ლეგენდის გამოძახილის დანახვას. ფშავხევსურეთის საყმოებში თასი სადღესასწაულო სიწმინდეა, მაგრამ მხოლოდ თავისი საიდუმლოებრივი წარმოშობითა და მოუხელთებლობით თუ მოგვაგონებს იგი გრაალს. თასის მცველი და მპყრობელია უხუცესი.

გრაფ თარხანის მიხედვით, ქრისტეს ჯვარცმის დროს თასის ასაკი რამდენიმე საუკუნეს აღწევდა.

თასი ძვირფასი, არამიწიური ქვისგან იყო გამოთლილი, რომლის შუაში ძვირფასი ქვა იჯდა. ეს ქვა მამაღმერთმა ლუციფერის განდევნის დროს მისი გვირგვინიდან მოხსნა, რითაც დაცემულ ანგელოზს სამყაროს მართვის უფლება წაართვა. შემდეგ სასმისი, ღმერთმა თავისსავე შექმნილ ადამს გადასცა, მაგრამ მისი შეცოდების შემდეგ თასი კვლავ ზეცაში დააბრუნა და ქრისტეს უბოძა.

არსებობს ლეგენდის სხვა ვერსიაც. მთავარანგელოზ მიქაელის მითითებით, ანგელოზები თავს დაესხნენ ლუციფერს და შერკინების დროს მთავარანგელოზმა ცეცხლოვანი მახვილით ამოუგდო ლუციფერს გვირგვინიდან ზურმუხტის თვალი. შემდეგ მისგან გააკეთეს სასმისი, რომელსაც წმინდა გრაალის თასი ეწოდა.

გრაალის თასში თავმოყრილია ის დიდი სიძლიერე, რომელიც მამა ღმერთმა თავის შვილს გადაულოცა. გოლგოთაზე კი მაცხოვრის სისხლი ბოლო წვეთამდე სწორედ ამ თასში მოგროვდა. სისხლი არ დედდებოდა და არ ცივდებოდა. თასმა იოსებს ხელები დასწვა. მისი ტემპერატურა მზის ტემპერატურას უტოლდებოდა, მაგრამ არაფერს წვავდა. იოსებმა ანგელოზისგან მიიღო მითითება, როგორ უნდა შეენახა და დაეცვა თასი. ეს მითითება თასთან ერთად მან გადასცა მემკვიდრეს, რომელმაც სულ მალე პალესტინა დატოვა და ქრისტეს მრწამსის გასავრცელებლად დასავლეთისკენ გაეშურა.

გრაალის თასის კვალი IV საუკუნეში იკარგება... თასმა „ვერ აიტანა” ეკლესიის დამოუკიდებლობის შეზღუდვა და გაქრა. შემდეგ ის ინახება საიდუმლო ტაძარში და ელის დროს, როცა კვლავ წარდგება მსოფლიოს წინაშე.

გრაალის თასის კულტი შუა საუკუნეების ბრიტანეთში წარმოიშვა. თასს აქვს უნარი გაჯანსაღებისა, თუ მას ადამიანი რვა წლის განმავლობაში დაეუფლება. ასევე, ვინც მისგან სითხეს მოსვამდა, ყველა ცოდვა მიეტევებოდა, ჩვეულებრივი მოკვდავი და ცოდვილი თასს ვერ დაეუფლებოდა.

არსებობს ვერსია, რომლის მიხედვით იოსებ არიმათიელი, წმინდა ფილიპეს დავალებით, იერუსალიმიდან ბრიტანეთში გადავიდა და მისთვის მინდობილი რელიქვიაც თან წაიღო. იქ, გლასტონბერთან, მან მიწაში ჯოხი ჩაარჭო. ჯოხმა ფესვები გაიდგა და კვრინჩხის ბუჩქად გადაიქცა, რომელიც წელიწადში ორჯერ ყვაოდა. იოსებმა ეს მოვლენა ღვთის ნიშნად მიიჩნია და იმ ადგილას ეკლესია ააგო, რომელიც მოგვიანებით სააბატოდ გადაიქცა, მიიჩნევენ, რომ გრაალის თასი სწორედ გლასტონბერის სააბატოს მიწისქვეშეთში ინახება. განსხვავებული ცნობით, თასის ადგილსამყოფელად ესპანეთში მდებარე სალვატის ტაძარი მიიჩნევა, რომელიც ერთ ღამეში აუშენებიათ ანგელოზებს.

**ლუარა სორდია,**

**(გაგრძელება იქნება)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბარბარობა — ქრისტიანული წმინდანის, ბარბარეს სახელობის დღესასწაული



მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით, 17 დეკემბერს, ბარბარობის დღესასწაული აღინიშნება.

წმიდა დიდმოწამე ქალწულ ბარბარეს ცხოვრებაზე გვესაუბრება წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრის მღვდელმსახური, მამა **კახაბერ შურღაია:**

"დიდმოწამე ბარბარე, იმპერატორ მაქსიმიანეს (305-311) დროს ეწამა ქრისტესთვის. წმიდანი ქალაქ ილიოპოლში ცხოვრობდა. ის შეძლებული დიდგვაროვნის – დიოსკორეს ოჯახში დაიბადა. დიოსკორე ადრე დაქვრივდა და მეუღლისგან ერთადერთი შვილი, ბარბარე დარჩა. მამას ძალიან უყვარდა ქალიშვილი, ამიტომ გადაწყვიტა უცხო თვალისთვის მოერიდებინა, კოშკში გამოკეტა და მისი აღზრდა წარმართ მასწავლებლებს მიანდო. როდესაც ბარბარე კოშკიდან ბუნებას აკვირდებოდა, ხვდებოდა, რომ ასეთი მოწესრიგებული და ლამაზი გარემო, კერპების შექმნილი არ იქნებოდა. ამის შემოქმედი მხოლოდ ერთი, უმაღლესი, უზენაესი ძალა უნდა ყოფილიყო.

ხშირად ისმის ასეთი კითხვა: თუ ადამიანი ისეთ ადგილას დაიბადა ან მოხვდა, სადაც არ არსებობს მართლმადიდებლური ეკლესია და არ არის მოძღვარი, ნუთუ ის ადამიანი განწირულია?!

როდესაც ბარბარე გაურკვევლობაში იყო, კოშკში გამოკეტილი, ღვთის წყალობით, მას გაუჩნდა სურვილი ჭეშმარიტება ეპოვა. ასევეა ნებისმიერი ადამიანიც, რა გარემოშიც არ უნდა იყოს, თუკი მას ჭეშმარიტების შეცნობა უნდა, შემოქმედი მას ყოველთვის გამოუჩენს გზას, რომელიც უფალთან მიიყვანს და აცხონებს.

ამასობაში, წმიდა ბარბარეს მშვენიერების შესახებ ქალაქში ხმა გავრცელდა და უამრავი ჭაბუკი გამოჩნდა სხვადასხვა ქვეყნიდან, მისი ხელისა და გულის მაძიებელი. დიოსკორემ ასულს შესთავაზა, მთხოვნელთა შორის თავად აერჩია გულისსწორი, რაზეც წმინდანმა მკაცრად მიუგო, რომ ის გათხოვებას არ აპირებდა.

მამამ იფიქრა, ბარბარეს ჩაკეტილმა ცხოვრებამ და მარტოობამ გადაუსხვაფერაო ხასიათი. მას კოშკიდან გამოსვლის ნება დართო და თავისუფლება მიანიჭა, რათა თავისით აერჩია მეგობრები და გაუცხოვება განექარვებინა.

ცოტა ხანში დიოსკორეს საქმეების გამო გამგზავრება მოუხდა. ამ დროს, წმინდა ბარბარემ, უფლის განგებით, ქრისტიანი ქალწულები გაიცნო, რომლებმაც ყოვლადწმინდა სამების შესახებ აუწყეს მას. ბარბარემ ეს ყველაფერი ყურადღებით მოისმინა, შეიმეცნა და ქრისტიანობა მიიღო. ამის შემდეგ წმინდანმა იწყო გულმოდგინედ ლოცვა და მარხვა, დადო ქალწულობის აღთქმა და გადაწყვიტა სიცოცხლე ღვთისათვის მიეძღვნა.

ერთხელ, როდესაც ბარბარე ბაღში სეირნობდა, სადაც დიოსკორეს ბრძანებით დიდ აბანოს აშენებდნენ, წმინდანმა აბანოს მარმარილოთი მოპირკეთებულ შესასვლელში თითით ჯვარი გამოსახა, ქვის საფეხურზე კი მისი ტერფის ანაბეჭდი ამოიკვეთა, საიდანაც წყარომ ამოხეთქა და შემდგომში უკვე მრავალი სასწაულებრივი კურნება აღასრულა.

დიოსკორეს ბრძანების მიხედვით, აბანოს ორი სარკმელი უნდა ჰქონოდა – მზისა და მთვარის ნიშნად, ბარბარემ კი მშენებლებს მესამე სარკმლის გამოჭრაც სთხოვა, ნიშნად წმინდა სამებისა.

შინ დაბრუნებულმა დიოსკორემ, იხილა რა სამი სარკმელი, მშენებლებს გაუჯავრდა, მაგრამ ბარბარემ აღიარა მამასთან ჭეშმარიტი სარწმუნოება და შეეცადა დიოსკორეც მოექცია. მამა ისე გაუბრაზდა, მახვილი იშიშვლა და მოსაკლავად გამოეკიდა, ბარბარემ გამოქვაბულში დამალვა მოახერხა, მაგრამ ის ცოტა ხნის შემდეგ მაინც შეიპყრეს.

დიოსკორემ საკუთარი ასული მმართველ მარტიანეს მიჰგვარა. ქალწულის სილამაზით მოხიბლულმა მარტიანემ ტკბილი სიტყვით სცადა მისი გადაბირება, თუმცა არაფერი გამოუვიდა, ბარბარე მტკიცედ იდგა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე.

წმიდა ბარბარეს ურჩობით განრისხებულმა მმართველმა ბრძანა, ტყავის შოლტებით ეგვემათ წმინდანი და სასტიკად აეწამებინა. მაგრამ ნაწამებ ქალწულს თავად იესო ქრისტე გამოეცხადა და განკურნა და გაამხნევა. მეორე დღეს, როდესაც ბარბარე მტარვალების წინაშე იხილეს – ის სრულიად განკურნებული იყო.

მმართველმა ეს ყოველივე კერპებს მიაწერა, რადგან არ სურდა ერწმუნა ჭეშმარიტება. ბარბარესაც მოუწოდა თაყვანი ეცა კერპთათვის, რაზეც მტკიცე უარი მიიღო. ამიტომ ის ამჯერადაც სასტიკად გვემეს, ოღონდ, ახლა უკვე ხალხის წინაშე.

ასულის სიმტკიცით გაოცებულმა ჯალათებმაც კი ირწმუნეს ქრისტე, რისთვისაც უმალვე დაისაჯნენ სიკვდილით.

ბარბარეს წამების საცქერლად შეკრებილ ბრბოში იდგა ილიოპოლელი ქალწული იულიანაც, რომელიც თანდათან ივსებოდა წმიდა მარტვილისადმი თანაგრძნობით და მის მსგავსად, ქრისტესთვის თავგანწირვის სურვილით ინთებოდა. ბოლოს ნეტარმა ხმამაღლა დაიწყო მტარვალთა მხილება, რისთვისაც მსწრაფლ შეიპყრეს და ბარბარესთან ერთად საწამებლად შეაგდეს.

წმიდა ბარბარეს და იულიანას, სამოსშემოძარცვულებს დაატარებდნენ ქუჩებში, სცემდნენ, დასცინოდნენ უფლის ანგელოზებმა კი ნეტარქალწულთა სიშიშვლე სპეტაკი სამოსით დაჰფარეს, რითაც უხილავი შეიქმნა მათი სიშიშვლე.

ამდენი დამცირების შემდეგ ბარბარეს თავის მოკვეთა მიესაჯა და ის თავად დიოსკორემ გაიყვანა დასასჯელად. მაშინ, წმინდა ქალწულმა ითხოვა, რომ მისთვის ხელები გაეხსნათ, რათა ელოცა, პასუხად კი დაცინვა მიიღო. ამ დროს გაისმა ხმა ზეციდან: "მოვედ, წმიდაო ბარბარე, დისა შენისა იულიამას თანა სასუფეველსა ცათასა. აჰა, ესერა ანგელოსნი იხარებენ მოწევნასა შენსა მათ თანა და ყოველი, რომელი ითხოვე. მიმიცემიეს შენდა და უფროისი ამისსა მიგცე შენ". ამის შემდეგ დიდი სიხარულით მოუდრიკეს ქედი მახვილს. წმინდა ბარბარე მამამისის ხელით აღესრულა. როგორც კი დიოსკორემ ასულს მახვილი დასცა, იმავ წამს ჭექაქუხილის ხმა გაისმა. ზეციდან წამოსული შემოსული საშინელი ცეცხლი დაატყდა მას თავს და ერთიანად დაწვა. მისი ფერფლი კი უეცრად ამოვარდნილმა ქარმა გაფანტა. ასევე, დაისაჯა მარტიანეც, სასახლეში შესვლისას მეხი დაეცა და მისგან მტვერიც აღარ დარჩა.

მორწმუნე ქრისტიანებმა წმინდა ბარბარეს პატიოსანი ნეშტი პატივით დაკრძალეს. VI საუკუნეში ნეტარი დიდმოწამის წმინდა ნაწილები კონსტანტინოპოლში გადააბრძანეს, საიდანაც XII საუკუნეში კიევში იქნა გადასვენებული. ამჟამად, წმინდა ბარბარე კიევის ლავრაშია დაკრძალული."

– **მამაო, ხომ არ არის საქართველოში ჩამობრძანებული წმინდა დიდმოწამე ქალწულის წმიდა ნაწილები?**

– წმ. ბარბარეს წმინდა ნაწილები კიევშია დაცული. თუმცა, რამოდენიმე წლის წინ ჩამოაბრძანეს მისი ხატი, რომელშიც წმიდა ნაწილი იყო ჩაბრძანებული. ეს ხატი საპატრიარქოს შესწირეს და იქ არის დაცული. ბარბარეს სახელობის ეკლესიები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია აგებული. ძველთაგანვე ქართველები დიდ პატივს მიაგებდნენ ამ წმიდანს და აშენებდნენ მისი სახელობის ტაძრებს.

– **მართალია თუ არა, რომ წმიდა ბარბარე ბავშვების მფარველია?**

– მართლაც ბავშვების მფარველად არის აღიარებული, თუმცა მე მიმაჩნია, რომ ასე გამოყოფა არასწორია. როგორ შეიძლება ერთი წმიდანი ბავშვების მფარველი იყოს და მეორე – არა?! განა წმინდა გიორგის, რომ ვავედროთ ბავშვები, არ დაიფარავს? წმიდა ბარბარე ყველა ადამიანის მფარველია.

– **მამაო, არის ასეთი ტრადიცია, რომ ბარბარობას ლობიანებს აცხობენ. რამდენად სწორია ეს?**

– ეს ხალხური ტრადიციაა, რომელიც დროთაგანმავლობაში ჩამოყალიბდა და ეკლესიასთან არანაირი კავშირი არ აქვს. ეს ცუდი არ არის, პირიქით, ხალხური შემოქმედებაა. ხალხი თავისებურად გამოხატავს პატივისცემას ამ წმინდანის მიმართ. ეს მისასალმებელია.

– **მამაო, 17 დეკემბერს, ბარბარობასთან ერთად, ბედობასაც ულოცავენ ერთმანეთს ქართველები. მართებულია ეს?**

– ბედობა ცრურწმენაა. ამასთან დაკავშირებით ეკლესიას სხვა მოსაზრება აქვს, თუმცა ეს უკვე სხვა თემაა. 17 დეკემბერს ჩვენ ბარბარობის წმიდა დღესასწაულს ვზეიმობთ და არა – ბედობას.

ღმერთმა ყველანი დაგვლოცოთ მისი მადლით!

ამინ!

# უნიკალური აღმოჩენა ისრაელში, რომელიც წმინდა მიწაზე ქართველების გავლენას ადასტურებს

ქალაქ აშდოდში ზღვის სანაპიროსთან, არქეოლოგიური გათხრების შედეგად, V საუკუნის მონასტრის მოზაიკა აღმოჩნდა, რომლის აშენება ქართული ქორონიკონით თარიღდება – ამ უნიკალური აღმოჩენის შესახებ საზოგადოებას პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელმა ლაშა ჟვანიამ **"ფეისბუქის"** გვერდიდან ამცნო და დასძინა, რომ ეს წმიდა მიწაზე ძლიერი ქართული კოლონიის არსებობის კიდევ ერთი დასტურია და რომ ქართველები არა მარტო იერუსალიმში, არამედ მთელ ტერიტორიაზე ყველაზე გავლენიანი თემი იყო.

აღმოჩენის შესახებ სასაუბროდ AMBEBI.GE ლაშა ჟვანიას დაუკავშირდა.

"ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით, წმინდა მიწაზე უამრავი არქეოლოგიური, ჯერ კიდევ აღმოუჩენელი კულტურული ძეგლია, რომელზეც ეტაპობრივად მეცნიერები მუშაობენ. სამი-ოთხი წელი არ გავა, რომ რაიმე

ახალი არ აღმოჩნდეს. განსაკუთრებით მდიდარია ბიზანტიის პერიოდი, ადრე ქრისტიანული ხანა. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, მთელი რიგი არქეოლოგიური გათხრებია ჩატარებული, მაგრამ ისრაელის ჩრდილოეთით, აშდოდის მიმართულებით, აქამდე თითქმის არაფერი ყოფილა...

ამიტომ ეს აღმოჩენა მნიშვნელოვანია ასევე იმითაც, რომ როდესაც 20 წლის წინ, იერუსალიმში ამა თუ იმ ტაძარზე მოზაიკა იპოვეს, მეცნიერები თარიღს ვერ ადგენდნენ. პირველი, ლეა ბისეგი (იერუსალიმის პროფესორი) იყო, რომელმაც ქართული ქორონიკონი მიუყენა, რითაც ყველაფერი ნათელი გახდა. ამასთან ისიც, რომ ისრაელში ქართული კოლონია, ქართული თემი იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ ტაძრის აშენებისას (ქართველებს სულაც რომ არ აეშენებინათ), ქართულ ქორონიკონს იყენებდნენ, რომელიც უნიკალურია და მხოლოდ ქართული ეკლესიის წიაღში არის.

– **აშდოდში აღმოჩენილი ახალი წარწერა, როგორც ჩანს, კარგად არის შენახული.**

– დიახ და უნიკალურია იმით, რომ ქართული ქორონიკონით არის დათარიღებული და V საუკუნეს განეკუთნება. ვიმეორებ, ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ იმ დროს, იქ ქართველები ძლიერად იყვნენ წარმოდგენილები... ისტორიულად დადასტურებული ფაქტია ისიც, რომ პეტრე იბერი მაიუმის (ახლანდელი ღაზა) ეპისკოპოსი გახლდათ და როგორც იერუსალიმში, ხმელთაშუაზღვისპირეთში, ახლანდელ ღაზას სექტორში ეკლესია-მონასტრებს აშენებდა. აშდოდი 70 კილომეტრით არის იერუსალიმიდან დაშორებული და პეტრე იბერის ადგილსამყოფელი 40-50 კილომეტრშია. ამიტომ, თუ არ ხარ გავლენიანი და ძლიერი თემი, შეუძლებელია ქართული ქორონიკონით თარიღდებოდეს ესა თუ ის ბიზანტიური ძეგლი. ასე რომ, ქართული თემი იყო, არა მხოლოდ იერუსალიმში, არამედ ხმელთაშუაზღვის სანაპიროზეც.

– **კვლევები დასრულდა?**

– არქეოლოგები ჯერ კიდევ მუშაობენ. იქ შეიძლება კიდევ ბევრი რამ აღმოჩნდეს, რომ ის ძეგლი მთლიანად ქართველების აშენებული იყოს. არ არის გამორიცხული, რომ პირველ სართულზე ეკლესიაც აღმოჩნდეს. მოკლედ, ამ ყველაფერს ხანგრძლივი მუშაობა და კვლევა სჭირდება.

სამუშაოები რამდენიმე თვის წინ დაიწყო, მაგრამ გათხრამ უკვე დიდი რეზონანსი მიიღო და დიდ პოზიტივსაც უნდა ველოდეთ.

ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს იმას, რომ საქართველოში ისრაელიდან ბევრი ხალხი ჩამოვა, ჩვენ მიმართ მეტი ინტერესი გაჩნდება. განსაკუთრებულ ინტერესს კულტურული ტურიზმით დაინტერესებულებისთვისაც გააჩენს.

– **ქართველი მეცნიერების ჩართვა ხომ არ არის ამ საქმეში აუცილებელი?**

– ჩემი ახლო მეგობარია ისრაელის სიძველეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე ისარელ ხასონი, რომელსაც უკვე ვესაუბრე და საქმის კურსში ჩავაყენე, ასევე ველაპარაკე პროფესორ თამარ მგალობლიშვილს, რომელსაც დიდი წვლილ აქვს ქართველების წმინდა მიწაზე ყოფნისა და მოღვაწეობის კვლევის საქმეში და ალბათ საჭირო გახდება (რაც შეიძლება მალე) ისრაელში ქართველი მეცნიერთა ჯგუფის გამგზავრება, რომ იმ ყველაფრის კონსერვაცია ჩვენ გარეშე არ მოხდეს...

– **იქნებ ისრაელში ნაპოვნი ქართული კვალის სხვა ფაქტები გავიხსენოთ.**

– იერუსალიმიდან (ძველი ქალაქიდან) დაახლოებით 2-3 კილომეტრში მეცნიერებმა, 2003 წელს, გათხრებისას ბიზანტიური მონასტრის კვალს მიაგნეს და ზუსტად მოზაიკის ქვეშ ქართული მონასტერი აღმოჩნდა. კრიპტში 9 საფლავი იყო და ერთ-ერთი საპატიო საფლავი V საუკუნის ქართული წარწერით ასე იყო წარმოდგენილი: "ესე საფლავი იოჰანე ფურტაველი ეპისკოპოსისა". "ფურტა" ძველ არამეულად ჭა-ს ნიშნავს. ფურტავი ადგილი უნდა ყოფილიყო, რომელიც არც საქართველოშია ცნობილი, არც – წმინდა მიწაზე... ფაქტი ის არის, რომ ეპისკოპოსი იყო ქართველი და წმინდა მიწას მიბარებული.

ეს ახალი აღმოჩენა, ახლო აღმოსავლეთში ქართველების მოღვაწეობის ძლიერი დამადასტურებელი იყოს. ამ ფაქტით ისრაელელი მეცნიერებიც, რომლებიც გათხრებზე მუშაობენ, აღფრთოვანებულები არიან, კერძოდ, ისრაელის უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრის პროფესორი, აღტაცებით საუბრობს ქართველების იმ გავლენაზე, რაც მათ წმინდა მიწაზე ჰქონდათ. ეს ყველაფერი ასევე განსაკუთრებულია აშდოდელი ქართველი ებრაელებისთვის, რომლებიც იქ უხვად არიან თავმოყრილები...

**ლალი ფაცია**

# ლევან დავითაშვილი: ქართული ღვინის კვლევა ბიძინა ივანიშვილის მხარდაჭერით განხორციელდა



მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებამ აღიარა, რომ მეღვინეობის უძველესი კვალი სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი, საიდანაც ის მთელ მსოფლიოში გავრცელდა და უდიდესი გავლენა იქონია სოფლის მეურნეობის, ხალხთა კულტურის, ბიოლოგიის, მედიცინისა და, ზოგადად, ცივილიზაციების ჩამოყალიბებაზე. ამის შესახებ ინფორმაციას სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

ღონისძიება, რომელიც აღნიშნული საკითხის განხილვას მიეძღვნა, სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა გახსნა.

„2013 წელს ღვინის მწარმოებელთა ასოციაცია შევიკრიბეთ და საქართველოს მაშინდელ პრემიერ-მინისტრს, ბიძინა ივანიშვილს შევხვდით. შეხვედრაზე ვისაუბრეთ, რომ საქართველოს ძლიერი მხარე არის მრავალწლიანი, უწყვეტი ღვინის კულტურა და ეს არის ის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც კარგად უნდა იყოს შესწავლილი და მსოფლიოს საქართველომ დასაბუთებული სამეცნიერო თვალსაზრისით აჩვენოს, რომ მართლაც არის ღვინის სამშობლო, არის ის ქვეყანა, სადაც პირველად მოხდა ვაზის მოშინაურება, პირველად მოხდა ღვინის წარმოება და რომ საქართველოს აქვს აგროკულტურის ძალიან დიდი ისტორია. ყოველივე ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი იდენტობისთვის, ქართული კულტურის საერთაშორისო დონეზე კომუნიკაციისთვის. მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ყოფილ პრემიერ-მინისტრს, რომელმაც მხარი დაუჭირა ამ ინიციატივას და ღვინის სააგენტომ შეძლო ასეთი მასშტაბის პროექტის განხორციელება", – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მოწვეულ სტუმრებს „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სახელმწიფო სამეცნიერო პროექტის" დასრულებისა და მიღებული მსოფლიო მნიშვნელობის შედეგების შესახებ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ და ასოციაციის „ქართული ღვინო" თავმჯდომარე თინა კეზელმა გააცნეს.

აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში PNAS (მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული სამეცნიერო ჟურნალი) გამოქვეყნდა სტატია სახელწოდებით „Early Neolithic wine of Georgia in the South Caucasus" („საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან"). ქართველ მეცნიერებთან ერთად, სტატიის ავტორები არიან მეცნიერები აშშ-დან, საფრანგეთიდან, იტალიიდან, კანადიდან, დანიიდან და ისრაელიდან.

სტატიაში საუბარია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ახლადჩატარებული მულტიდისციპლინარული კვლევის შესახებ, რომელიც ადასტურებს, რომ აქ მოსახლე ტომები ღვინოს ჯერ კიდევ ძვ.წ. 6000-5800 წლებში, ე.ი. 8000 წლის წინ აყენებდნენ.

2014 წლიდან, ასოციაციის „ქართული ღვინო" ინიციატივით და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ღვინის ეროვნული სააგენტო ხელმძღვანელობს საერთაშორისო მულტიდისციპლინარულ პროექტს „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა". პროექტში, ქართველ მეცნიერებთან ერთად, მონაწილეობენ პენსილვანიის, მონპელიეს, მილანის, კოპენჰაგენის, ტორონტოს უნივერსიტეტების, ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტისა და მონპელიეს აგრარული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის (INRA) თანამშრომლები. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით ლორთქიფანიძე, ხოლო კოორდინატორი – ღვინის ეროვნული სააგენტოს მეცნიერი, საქართველოს მევენახეობის დარგის პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი დავით მაღრაძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ნეოლითური ხანის (ძვ.წ. VI ათასწლეული) ძეგლების კვლევა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. სხვადასხვა დროს მას ხელმძღვანელობდნენ ალექსანდრე ჯავახიშვილი, ოთარ ჯაფარიძე და თამაზ კიღურაძე. ამჟამად გათხრებს ხელმძღვანელობს არქეოლოგი მინდია ჯალაბაძე. უკანასკნელ წლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მხარდამჭერები არიან ღვინის ეროვნული სააგენტო, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი და ტორონტოს უნივერსიტეტი.

პროექტის ფარგლებში პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორის პატრიკ მაკგოვერნის ხელმძღვანელობით ჩატარებული ბიომოლეკულარული კვლევების შედეგად მარნეულის რაიონში მდებარე ნეოლითის პერიოდის „გადაჭრილი გორის" და „შულავერის გორის" არქეოლოგიურ ძეგლზე უკანასკნელი პერიოდის გათხრების დროს აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის კედლებზე ღვინისათვის დამახასიათებელი ორგანული მჟავების (ღვინის მჟავა, ვაშლმჟავა, ქარვამჟავა და ლიმონმჟავა) არსებობა დადასტურდა, რაც Vitis vinifera-ს ვაზის ჯიშისგან დამზადებული ღვინის მარკერია. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერების, ელისო ყვავაძისა და ნანა რუსიშვილის მიერ მუზეუმში ჩატარებულმა პალეობოტანიკურმა კვლევებმა ცხადყო, რომ ადრეული ნეოლითის ხანაში ამ რეგიონში ვაზის კულტურა ფართოდ იყო გავრცელებული. მილანის უნივერსიტეტის მკვლევრებმა, ოსვალდო ფაილას ხელმძღვანელობით, აღადგინეს ძვ.წ. VI ათასწლეულის კლიმატი და დაადასტურეს, რომ ქვემო ქართლში 8.000 წლის წინ ვაზის კულტივირებისთვის შესაბამისი პირობები იყო. ისრაელის ვაისმანის ინსტიტუტში, ელიზაბეტა ბოარეტოს ხელმძღვანელობით განხორციელებული ლაბორატორიული კვლევების შედეგად, C14-ის დათარიღების მეთოდით ნიმუშების ასაკი განისაზღვრა ძვ.წ. 6000-5800 წლებით, რაც 600-1000 წლით უფრო ძველია, ვიდრე აქამდე უძველესად მიჩნეული ღვინის კვალი ზაგროსის მთიანეთიდან (ირანი).

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა დოკუმენტური ფილმის „საქართველო-ღვინის სამშობლო" ჩვენება. ფილმი გადაღებულია ღვინის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევის სახელმწიფო სამეცნიერო პროექტის" ფარგლებში „სინემანის ფილმზის" მიერ.

# სახურავზე გიჟია!



***ცნობილი თურქი მწერლის აზიზ ნესინის ეს მოთხრობა 1965 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ "ნიანგში". საეჭვოა, რომ იგი წაკითხული ჰქონდეს საკიანცს, თორემ ამ მოთხრობის შეურაცხადი გმირივით არ მოექცეოდა კიევის ერთ-ერთი სახლის სახურავზე.***

– სახურავზე გიჟია, გიჟი! – დაიძახა ვიღაცამ.

მთელი უბანი ფეხზე დადგა.

ქუჩა თავიდან ბოლომდე ხალხით გაივსო. ყველას სეირის ყურება უნდოდა. პოლიციელები ზოგი საგუშაგოდან მოდიოდა, ზოგიც – თვით სამმართველოდან, სახანძრო რაზმიც უცებ გამოიძახეს, არ დაუყოვნებიათ.

– ჩემო შვილო, ჩემო საყვარელო, ჩემო ჭკვიანო, ჩამოდი ძირს! – ეხვეწებოდა დედა გიჟს.

– სოფლის თავად თუ არ ამირჩევთ, აქედან გადმოვვარდები! – პასუხობდა გიჟი.

მეხანძრეებმა თადარიგი დაიჭირეს და ქვევით დიდი ხალიჩა გაშალეს. ცხრა მეხანძრე გაშლილი ხალიჩით დარბოდა სახლის ირგვლივ – რა ვიცით, გადმოხტომა სად მოეპრიანებაო. იმდენი ირბინეს, არაქათი გამოელიათ, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ სახეზე.

– ძალიან გთხოვ, ძმობილო, ჩამოდი ქვევით! – ეძახდა გიჟს კომისარი. მის ხმაში მუქარაც იგრძნობოდა და მუდარაც.

– სოფლის თავი გამხადეთ და ჩამოვალ, არადა, თავს მოვიკლავ, ჩამოვვარდები, – პასუხობდა გიჟი.

ცუდად იყო საქმე,

– ჩამო, ძმაო! ჩამო, თუ კაცი ხარ...

– ერთი ამას დამიხედეთ! თქვენ გინდათ, მე ჩამომიყვანოთ ძირს და თვითონ ახვიდეთ მაღლა?.. არ გამოვა.

– კარგი, კარგი, გირჩევთ სოფლის თავად! – დაიძახა ვიღაცამ.

– ტყუილია. გიჟი და სოფლის თავი?! ვერ მომატყუებთ, ვერა!

– ალაჰის მადლმა, მართლა აგირჩიეთ, – ასძახა ერთმა ხელჯოხიანმა მოხუცმა.

– არ მჯერა, მეხუმრებით.

– ჩამოდი, არ გეხუმრებით.

– არ ჩამოვალ, ქვემოთ ჩამოსვლა ეგრე იოლი კი არ არის! სხვებს ხედავთ? ვინც მაღლა ავიდა, ძირს არც ერთი არ ჩამოსულა, ყველას მაღლა ყოფნა უნდა.

– კარგი ახლა, ჩამოდი!

– რად მინდა სოფლის თავობა! ქალაქის მეჯლისის წევრად თუ არ ამირჩევთ, თავს მოვიკლავ, აქედან გადმოვვარდები,

ბერიკაცები განზე გადგნენ.

– ახლა როგორღა მოვიქცეთ?

– შევუსრულოთ, რაც სურს.

– მაინც არ ჩამოვა, გიჟი თავიდანვე არ უნდა აეშვა მაღლა, თორემ ძირს ვეღარ ჩამოიყვან მერე.

მაინც დაუძახეს:

– გადავწყვიტეთ, ძმაო, ქალაქის მეჯლისის წევრად აგირჩიეთ... ჩამოდი, მეგობრებს ნუ ალოდინებ.

– არ ჩამოვალ, ვიდრე ქალაქის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარედ არ გამხდით.

– ხომ გითხარით. აი, სადამდე მივიდა! – თქვა გაბრაზებით ერთმა მოხუცმა. – მაგას რაღა ჩამოიყვანს.

– რა მოხდება, თავმჯდომარედ რომ ავირჩიოთ? – იკითხა სახანძრო რაზმის უფროსმა, რომელიც გვარიანად გაოფლილიყო აქეთ-იქით სირბილით. მერე ტუჩთან ხელი მიიტანა და გიჟს ასძახა:

– ჩამოდი, ძმაო, მუნიციპალიტეტის თავმჯდომარედ აგირჩიეთ, ჩამოდი და მოვალეობის ასრულებას შეუდექი.

გიჟმა მუცელი შეათამაშა და ცეკვა დაიწყო.

– არ ჩამოვალ, რა მინდა თქვენთან? რა საერთო მაქვს იმ ხალხთან, გიჟს რომ ქალაქის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარედ ირჩევს? არა, არ ჩამოვალ.

– კი მაგრამ, აბა რა გინდა?

– მინისტრობა მინდა. მინისტრი გამხადეთ და ჩამოვალ.

ქვემოთ ერთხანს ისევ ითათბირეს და შემდეგ ასე გადაწყვიტეს:

– იყოს ნება შენი, მინისტრი ხარ! ახლა მაინც ჩამოდი, ხომ ხედავ, რამდენი ხალხი გელოდება?

გიჟმა ხელი ცხვირთან მიიტანა, თითები გაშალა და დაიტრიალა:

– ვერ მოგართვით! რა საქმე მაქვს იმ ხალხთან, გიჟი რომ მინისტრი გახადა.

– ამაოდ ცდილობთ, არ ჩამოვა. მე ძალიან კარგად ვიცნობ მაგნაირ გიჟებს. მინისტრად კი აირჩიეთ, მაგრამ თავი ისე უნდა მოაჩვენოთ, თითქოს ჩამოსვლას არ სთხოვდეთ, – თქვა ისევ იმ მოხუცმა.

– პრემიერ-მინისტრად ამირჩიეთ, თორემ გადმოვვარდები და თავს მოვიკლავ, – აყვირდა გიჟი.

– კი, ბატონო, კი, ბატონო, პრემიერ-მინისტრი ხარ, ჩამოდი!

– არ ჩამოვა! – თქვა მოხუცმა.

გიჟმა კვლავ დაიწყო ცეკვა.

– მეფედ ამირჩიეთ. მეფობა მინდა. ამირჩიეთ და ჩამოვალ.

მოხუცის სიტყვები მართლდებოდა.

ისევ მოითათბირეს.

– აწი უკან დახევა არ შეიძლება. რახან ამდენს შეჰპირდით, მიჰყევით ბოლომდე, – თქვა მოხუცმა.

– აგირჩიეთ, მეფე ხარ! – ასძახეს გიჟს. – ახლა მაინც ჩამოდი.

გიჟმა კვლავ აათამაშა მუცელი.

– არ ჩამოვალ.

– რაღა გსურს, მეფე გაგხადეთ და მეტი რა გინდა?

– არა, არა. იმპერატორად თუ არ ამირჩიეთ, ერთ ნაბიჯსაც არ გადმოვდგამ... თავს მოვიკლავ!

– მართლა გადმოვარდება, – თქვა მოხუცმა.

– კარგი, ეგრე იყოს, – იყვირა ერთხმად ყველამ, – იმპერატორი ხარ, ჩამოდი.

– ჩემნაირ იმპერატორს თქვენისთანა გამოშტერებულ ხალხთან რა ხელი აქვს?

– კი მაგრამ, ეს მაინც გვითხარი, სხვა რა გსურს? გვითხარი და გავაკეთებთ.

– უკვე იმპერატორი ვარ, არა? – იკითხა გიჟმა.

– იმპერატორი ხარ, იმპერატორი!

– რახან იმპერატორი ვარ, როცა მომეპრიანება, მაშინ ჩამოვალ, თუ არ მომინდა, სულაც არ ჩამოვალ.

– გადმოვარდება და გადმოვარდეს, – გაბრაზდა კომისარი, – ერთი გიჟით ნაკლები იქნება ქვეყანაზე.

– ახლა როგორღა მოვიქცეთ? – მიუბრუნდა მეხანძრეთა უფროსი მოხუცს, – ეს გიჟი ქვევით ჩამოსვლას არ აპირებს.

– ჩამოვა, – უთხრა მოხუცმა.

– როგორ?

– მაცადეთ, ახლავე ჩამოვიყვან...

– ჩვენო დიდო იმპერატორო, – ასძახა მოხუცმა გიჟს, – იქნებ თქვენმა უპატივცემულესობამ მეექვსე სართულზე ჩამობრძანება ინებოს?

გიჟმა თავი მოისერიოზულა.

– სიამოვნებით.

გიჟი კიბეზე დაეშვა და მეექვსე სართულის ფანჯრიდან ხალხს გამოხედა.

– ჩვენო დიდებული, ჩვენო მხსნელო, მეხუთე სართულზე ჩამოსვლა არ გნებავთ?

– რატომაც არა, – უპასუხა გიჟმა.

ყველანი გაოცებული შეჰყურებდნენ მოხუცს. გიჟმა მეოთხე სართულის ფანჯრიდან რომ გადმოიხედა, მოხუცმა ასძახა:

– თქვენო ბრწყინვალებავ, ჩვენო იმპერატორო, იქნებ მესამე სართულზე ჩამობრძანება მოიწადინოთ?

– შეიძლება, – იყო პასუხი.

გიჟი უკვე მესამე სართულის ფანჯრიდან იხედებოდა. ახლა ისე აღარ ცეკვავდა, ისე აღარ ათამაშებდა მუცელს, როგორც სახურავზე ყოფნისას. ახლა მათკენ თითქოს ნამდვილი მეფე მიდიოდა.

– თქვენო უბრწყინვალესობავ, მეორე სართულზე ჩამოსვლას ხომ არ ინებებდით?

– სიამოვნებით.

ხოლო როცა გიჟი მეორე სართულზე ჩამოვიდა, მოხუცმა ასძახა:

– თუ თქვენი უპატივცემულესობა პირველ სართულზე ჩამობრძანდება, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ექნება...

გიჟი ქუჩაში გამოვიდა. ხალხში შეერია. მერე მოხუცისაკენ გაემართა, მიუახლოვდა, ხელი მოჰხვია და უთხრა:

– ეი, ძმობილო, გეტყობა, ერთ დროს შენც გიჟი იყავი. გიჟის ენა გიჟმა იცის. – მერე კომისარს მიუბრუნდა და უთხრა: – აბა, ერთი ვნახოთ, როგორ ბრძანებ, შეჰკარით და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანეთო! ახლა ხომ მაინც ისწავლე, როგორ უნდა მოუარო გიჟს?

გიჟის წასაყვანად შეკრებილი ცნობისმოყვარე ხალხი მოხუცს მოუბრუნდა:

– მოხუცო, როგორ მოახერხეთ, როგორ ჩამოიყვანეთ?

– ეეჰ, ეგ არც ისე იოლია. ორმოცი წელი პოლიტიკაში მედგა ფეხი!.. – მერე ერთი ძლიერ ამოიოხრა და დასძინა: – ახლა რომ ძალა მქონდეს, მეც ავიდოდი მაღლა და აბა ნახავდით, თუ ვინმე ჩამომიყვანდა ძირს.

**აზიზ ნესინი,**

**თარგმნა გურამ ბათიაშვილმა**

# სახალხო მოძრაობა "სამეგრელო" და გაზეთი "ილორი" გილოცავთ 2018 წელს!



### იანვარი

| ორ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| 29 | 30 | 31 | | | | |

### თებერვალი

| ორ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | 4 |
| 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 |
| 26 | 27 | 28 | | | | |

### მარტი

| ორ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | 4 |
| 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 |
| 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | |

### აპრილი

| ორ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 1 |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 |
| 30 | | | | | | |

### მაისი

| ორ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 4 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
| 28 | 29 | 30 | 31 | | | |

### ივნისი

| ორ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | 2 | 3 |
| 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 |
| 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | |

### ივლისი

| ორ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 1 |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 |
| 30 | 31 | | | | | |

### აგვისტო

| ორ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
| 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 |
| 27 | 28 | 29 | 30 | 31 | | |

### სექტემბერი

| ორ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 1 | 2 |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |

### ოქტომბერი

| ორ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| 29 | 30 | 31 | | | | |

### ნოემბერი

| ორ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | 4 |
| 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 |
| 26 | 27 | 28 | 29 | 30 | | |

### დეკემბერი

| ორ. | სამ. | ოთხ. | ხუთ. | პარ. | შაბ. | კვ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 1 | 2 |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
| 31 | | | | | | |



ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
გაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტექრედაქტორი 568-01-21-32
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge